საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 7 თებერვალი. 2017 წ. №28 (8165), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მოხედეთ, მოხედეთ, მოხედეთ... ქალაქ რუსთავს!

4

ბესელია გვარამიას წინაალმდეგ საქმის აღძვრას არ გამორიცხავს

3

თათია მოლაშვილი:

ვაცხადებ, სულხანი სიკვდილამდე

საკაშვილმა, ადეიშვილმა და ბოკერიამ მიიყვანა!

5

ვინ აფარებს მკვლელს ხელს?!

2

მიმართვა საზოგადოებას



როგორია პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობა?

საქართველოს საპატრიარქო კათოლიკოს-პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. საპატრიარქოს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ცისანა შარტავა აცხადებს, პატრიარქი ბერლინში კლინიკაშია და აუცილებელი ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები მიმდინარეობს:

„საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თავს კარგად გრძნობს. კლინიკაშია. მიმდინარეობს ამ ეტაპისათვის სათანადო მკურნალობა და აუცილებელი ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები. გამოკვლევების დამთავრების შემდეგ სპეციალისტები შეჯერდებიან მკურნალობის გაგრძელების ტაქტიკაზე“.

საკაშვილის წყალობით საქართველო რუსეთთან კონფლიქტში ღიად ჩაება, რაც თბილისს 800 დაღუპულად დაუჯდა

8

დემაგოგების შემოსევა

რა შანსი აქვს უგულავა-ბაქრაძე-ბოკერიას პარტიას?

9



ბოლომდე წაუკითხავი წიგნის კომენტარები
გრიგოლ ფერაძე, „იერიქონის ვარდები“

მალხა - იდუმალი გამოძახილი

6

საზოგადოება დაინახავს, თუ რა გადაწყვეტილებებს მიიღებს მანანა კობახიძე!

იურიდულ საკითხთა კომიტეტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე მანანა კობახიძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა. ფარული კენჭისყრის შედეგებით, კობახიძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 11-მა წევრმა, წინააღმდეგი არავინ ყოფილა. უმრავლესობის წარმომადგენლებთან ერთად კობახიძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელმა. საპარლამენტო უმცირესობას კი კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

„ვფიქრობ, რომ ყველა კითხვას გავეცი პასუხი. ეს პასუხები შესაძლოა, ოპოზიციისთვის იყო მისაღები ან მიუღებელი. როგორი კანდიდატიც არ უნდა წარედგინა „ქართულ ოცნებას“, არც ერთს არ დაუჭერდა მხარს ოპოზიცია. არც ველოდებოდი ოპოზიციის მხრიდან მხარდაჭერას, უბრალოდ, მსურდა, მათ კითხვებზე გამეცა პასუხი. დანარჩენი უკვე არის მომავლის საქმე, როდესაც საზოგადოება დაინახავს, თუ რა გადაწყვეტილებებს მიიღებს მანანა კობახიძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლოს რანგში“, — განაცხადა კობახიძემ.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაცემები 2018 წლამდე ჩერდება

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ვასილ მაღლაფერიძის განცხადებით, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაცემები 2018 წლამდე, დროებით ჩერდება. მაღლაფერიძის თქმით, მის მიერ წარდგენილი 3-წლიანი გეგმა სამეურვეო საბჭომ, ე.წ. ბორდმა უნდა დაამტკიცოს.



„საჭიროა ფინანსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ყველა ტელევიზიას გააჩნია და ამას არა. ამიტომაც, საჭიროა, 2018 წლამდე შევაჩეროთ გადაცემები და შესაბამისი პლატფორმა მოვამზადოთ. ჩვენ დროებით ვაჩერებთ გადაცემებს, რათა არ გაჩერდეს მაუწყებელი. ეს ჩვენი კონკრეტული გეგმა, ანალიზი და საექსპერტო დასკვნაა“, — განაცხადა ვასილ მაღლაფერიძემ. მისივე თქმით, ტელევიზიაში ყველა გადაცემა, გარდა საინფორმაციო გამოშვებებისა, უნდა გაჩერდეს და ასევე, თანამშრომლების ოპტიმიზაცია მოხდეს. ამ ფაქტის შესახებ ანალიტიკურ წერილს ხვალ შემოგთავაზებთ.

პარლამენტის საგაზაფხულო სესია 7 თებერვალს გაიხსნება

პარლამენტის საგაზაფხულო სესია, რეგლამენტის თანახმად, თებერვლის პირველ სამშაბათს — 7 თებერვალს ბიუროს სხდომით გაიხსნება. საგაზაფხულო სესიის პირველი პლენარული სხდომა კი, სავარაუდოდ, 8 თებერვალს გაიმართება.

საგაზაფხულო სესიის პირველი სხდომის მთავარი თემა პრეზიდენტის ვეტო იქნება, რადგან რეგლამენტით, პრეზიდენტის მიერ მოტივირებული შენიშვნებით დაბრუნებულ კანონპროექტს პარლამენტი 15 დღის ვადაში იხილავს. 24 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ვეტო დაადო „საერთო სასამართლოების შესახებ“ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, რომელიც პარლამენტმა 2016 წლის 29 დეკემბერს დაამტკიცა.

ირმა ინაშვილი ლიტვის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა

საქართველოს **პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრმა ირმა ინაშვილმა ლიტვის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან გიედრიუს პუოჯუნასთან შეხვედრა გამართა.**

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე საქართველოსა და ლიტვას შორის არსებულ აქტიურ ურთიერთობებზე და ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების გზებზე ისაუბრეს.

შეხვედრაზე ირმა ინაშვილმა სტუმარს ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ საპარლამენტო საქმიანობასა და საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ

მიაწოდა ინფორმაცია. ელჩი დაინტერესდა საკონსტიტუციო კომისიის მუშაობით და ფრაქციის ხედვით ამ საკითხზე. **„მე ელჩს დეტალური ინფორმაცია მივაწოდე, თუ რა ინიციატივებით შედის ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“ საკონსტიტუციო კომისიაში, როგორია ჩვენი ხედვა ფარული მოსმენების კანონპროექტთან და პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით, ასევე, საარჩევნო სისტემის რომელ მოდელს ვუჭერთ მხარს,“** — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

მხარეებმა ყურადღება საქართველოსა და ლიტვას შორის არსებულ მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობაზე გაამახვილეს და საქართველოში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზე ისაუბრეს. ირმა ინაშვილმა ელჩს პარტია „საქართველოს პატრიოტების“ ეკონომიკური პროგრამა გააცნო.

თბილისის წინადადების ძიღებას არც ცხინვალი აპირებს

ამის **შესახებ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში ერგნეთში გამართული რიგით 74-ე შეხვედრის დასრულების შემდეგ ოსური დელეგაციის ხელმძღვანელმა დავით სანაკოევმა განაცხადა.**

ქართული მედიის წარმომადგენლებმა ჰკითხეს სანაკოევს, გამოიყენებენ თუ არა ოკუპირებული რეგიონის მაცხოვრებლები იმ შესაძლებლობებს, რომელსაც მათ საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის უვიზო რეჟიმის შემოღება აძლევთ. პასუხი ასეთი იყო:

„მოხარულები ვართ, რომ საქართველო მისი საკითხების გადაჭრაზე ევროკავშირთან და იმ ქვეყნებთან მუშაობს, რომლებთანაც ამ ურთიერთობებს მიაღწია. და ალბათ, ეს ეხებათ იმ ეთნიკურ ოსებს, აფხაზებსა და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს, ისინი მგზავრობენ ოსური პასპორტებით, ზოგიერთი მათგანი კი რუსეთის მოქალაქეცაა და ამის მეშვეობით შეუძლია მსოფლიოს მასშტაბით გადაადგილება“.

შეგახსენებთ, რომ ანალოგიური პოზიცია დაუფიქსირა აფხაზურმა მხარემ. ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო უწყების განცხადებით, ევროპარლამენტის გადაწყვეტილება საქართველოსთვის საბოლოო რეჟიმის გაუქმების შესახებ **„მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე ვრცელდება და აფხაზეთის მოქალაქეებთან არანაირი შეხება არა აქვს“.**

გია ცაგარეიშვილი გარემოს დაცვის მინისტრის მთავარ მრჩეველად დაინიშნა

„თავისუფალი **დემოკრატების“ ყოფილი წევრი გია ცაგარეიშვილი გარემოს დაცვის მინისტრის მთავარ მრჩეველად დაინიშნა. აღნიშნულ თანამდებობაზე მოვალეობის შესრულებას ის 20 იანვრიდან შეუდგა. ცაგარეიშვილის თქმით, შეთავაზება აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით პირადად მინისტრისგან მიიღო.**

გია ცაგარეიშვილი მერვე მოწვევის პარლამენტში გარემოს დაცვის კომიტეტს ხელმძღვანელობდა.

აღვირახსნილი უსამართლობა

მიმართვა საზოგადოებას

თორმეტი წლის წინათ, 2004 წლის ოქტომბერში, თბილისში მიკეკვიჩისა და პეკინის ქუჩის კუთხეში მოხდა საზარელი მკვლელობა. მკვლელმა დანით სამი ჭრილობა მიაყენა 18 წლის დავით ოთხმეზურს, აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის შვილიშვილის და პროფესორ გიორგი ოთხმეზურის შვილს. ამ სამი ჭრილობიდან ერთი მომაკვდინებელი გამოდგა. მკვლელობას უამრავი ხალხი შეესწრო, მათ შორის 5 დაიკითხა სასამართლოში მოწმის სახით. იმავე დღეს ჩატარდა საგამოძიებო ღონისძიება და მკვლელობაში ეჭვმიტანილად ცნობილ იქნა ასლან ბეჟანიძე, მაგრამ 11 წლის განმავლობაში მის მიმართ არანაირი საგამოძიებო ღონისძიება არ გატარებულა, იგი საერთოდ არ დაკითხულა.

სამწუხაროდ, ვიღაცის ხელშეწყობით და დახმარებით ბეჟანიძე მიიმალა.

12 წლის შემდეგ ბეჟანიძე დააკავეს. სასამართლოს მოსამართლე ელენე გოგუაძემ 2016 წლის 27 მარტს მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ამის შემდეგ, მოსამართლე გამოიცვალა. ახალმა მოსამართლემ გიორგი დარახველიძემ, რომელიც ცნობილია თავისი წარსული „მოღვაწეობით“ — უსიტყვო მორჩილებით ყოფილი ხელისუფლებისადმი, მიუხედავად 5 მოწმის პირდაპირი ჩვენებისა, ასლან ბეჟანიძე გაამართლა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

მრავალრიცხოვან მოწმეთა ჩვენებებისა და სხვა უტყუარი მტკიცებულებების ცინიკური უგულებელყოფა დარახველიძის სამოსამართლეო პრაქტიკის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. ეს სწორედ ის დარახველიძეა, რომლის გადაწყვეტილებითაც, მაგალითად, დღემდე დაუსჯელად დასეირნობს ქუჩაში ცნობილი ჯალათი, მწამებელი და ადამიანის უფლებათა დამრღვევი გაგა მკურნალიძე: ასევე მისი გადაწყვეტილებით, სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლდნენ დედის თვალწინ სადისტურად მოკლული ჯემალ შელიას მკვლელები, რამდენიმე ბრალდება მოეხსნა მეგიზ ქარდავას, ბაჩო ახალაიას, „მასტერას“ და ა.შ.

ასეთი გადაწყვეტილებები, ცხადია, უმძიმესი დანაშაულების წახალისება და დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრებას უწყობს ხელს, ხოლო, მეორე მხრივ, საბოლოოდ ანადგურებს სასამართლო ხელისუფლების ისედაც საკმარისად შერყეულ ავტორიტეტს, რასაც ჩვენი საზოგადოება არ უნდა შეეგუოს.

იმედს გამოვთქვათ, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები გამოასწორებენ ამ აღვირახსნილ უსამართლობას და არ დაუშვებენ, რომ ქართულ მართლმსაჯულებას კიდევ ერთი შავი ლაქა მოეცხოს.

აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე; აკადემიკოსი გულნარა ჩაფიძე; კოტე ჯანდიერი; მერაბ ვაჩნაძე; ზაზა აბაშიძე; ზაზა მიქაშავიძე; ნინელი ჭანკვეტაძე; მამუკა არეშიძე; ზაზა შათირიშვილი; გურამ გოგიაშვილი; სპარტაკ ქობულია; ალეკო ასლანიშვილი.

რედაქციისგან: **პირდაპირ საკვირველია, რამ გადააწყვეტინა მოსამართლე გიორგი დარახველიძეს, რომ 5 მოწმის პირდაპირი ჩვენებისდა მიუხედავად, დარბაზიდანვე გაეთავისუფლებინა 18 წლის გიორგი ოთხმეზურის სასიკვდილოდ დამჭრელი ვინმე ასლან ბეჟანიძე, რომელიც აშკარად მავანი ბობოლის მფარველობით მთელი 11 წელიწადის თავს არიდებდა სამართლის აღსრულებას. ბოლოს და ბოლოს, უკვე ახალი ხელისუფლების პირობებში, იგი მაინც დააკავეს და წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს. მაგრამ საქმე უკვე სხვა მოსამართლემ, თავის დროზე ადეიშვილის ხელდასხმულმა მოსამართლემ გიორგი დარახველიძემ ფრიად და ფრიად საეჭვოდ „უდანაშაულო ანგელოზად“ გამოიყვანა მკვლელი ასლან ბეჟანიძე.**

ყველა საღი გონების ადამიანის თვალში მოსამართლე გიორგი დარახველიძემ ა. ბეჟანიძის განაჩენის სახით უწინარესად საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი, რომელსაც, იმედია, გულდასმით შეისწავლიან შესაბამისი ორგანოები და დაადგენენ გ. დარახველიძის სათუო „ჰუმანურობის“ ჭეშმარიტ მიზეზს, რასაც დადგენამდეც კი ანგარების მყრალი სუნი უდის.

გადაუდებლად სამკურნალოა!!! სასწრაფოდ, ექიმთან!!!

არასოდეს ხალხის არჩეულ არცერთ პრეზიდენტზე საჯაროდ აუგი არ მითქვამს. ეს შემთხვევა გამონაკლისი იქნება: მხოლოდ კარიკატურულობაზე, ულვაშებზე, ცეკვა-თამაშსა და სადღეგრძელოებზე.

ბოდვა თუ მართლა მას ეკუთვნის, გადაუდებლად სამკურნალოა!!! არადა, აქამდე მაინც ნიჭიერ ადამიანად ვიცნობდი. სასწრაფოდ, ექიმთან!!!

საინფორმაციო სააგენტო „აიპრესი“ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველო, როდესაც მე იქ ჩავედი, ერთი კარიკატურული ქვეყანა იყო, სადაც ხალხი ულვაშებით დადიოდა, იცოდნენ ცეკვა-თამაში, სადღეგრძელოების თქმა და მეტი არც არაფერი“, — ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა გადაცემაში „Черніве-йцький промінь“ განაცხადა. მან უკრაინაში ტურიზმის განვითარებაზე ისაუბრა და შედარება საქართველოსთან გააკეთა.

„ტურიზმი ეს უკრაინის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პოტენციური საშუალებაა. ყველასთვის გასაგები რომ იყოს, მაგალითად, საქართველოში ჯერ კიდევ საშინელი ხელისუფლებაა, თუმცა, ყველა ინსტიტუტი მუშაობს და მთავარი, რაზეც საქართველოს ეკონომიკა დგას, ეს ჩემ მიერ დატოვებული ტურიზმია. აქ კი რაღაც არანორმალური პოტენციალი არსებობს, ყველაფერი გვაქვს, რაც ტურიზმს სჭირდება, ისტორია, კულტურა, სამზარეულო... ყოველ რაიონს, ყოველ სოფელს საკუთარი სამზარეულო გააჩნია. მსგავსი არაფერი აქვს რუმინეთს, ბულგარეთს, ჩეხეთს, პოლონეთს, აქ კი არის.

მიმაჩნია, რომ უკრაინელები უფრო კანონმორჩილები, უფრო შრომისმოყვარენი, რეფორმებისთვის უფრო მეტად გახსნილები არიან, ვიდრე ქართველები იყვნენ მაშინ. ახლა ქართველებმა უკვე ისწავლეს. საქართველო, როდესაც მე იქ ჩავედი, ერთი კარიკატურული ქვეყანა იყო, სადაც ხალხი ულვაშებით დადიოდა, იცოდნენ ცეკვა-თამაში, სადღეგრძელოების თქმა და მეტი არც არაფერი. ახლა კი საქართველო არის ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყანა, ესაა ქვეყანა, სადაც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ბევრი საინტერესო ინიციატივა ჩნდება...“, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

* * *

ვიმეორებ: ეს ბოდვა თუ მართლა მას ეკუთვნის, გადაუდებლად სამკურნალოა, სასწრაფოდ ექიმთან!

ნუგზარ ფოფხაძე

„უკრაინული რევოლუცია“ ზურაბ ადეიშვილისა და ნიკა გვარამიას სატელეფონო ჩანაწერს აქვეყნებს!

უკრაინული გამოცემა „უკრაინული რევოლუცია“ საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილისა და „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას სატელეფონო ჩანაწერს აქვეყნებს.

ჩანაწერში მოსამართლეებზე ზეწოლასა და ქრთამის სახით 3 მილიონი დოლარის მიცემაზეა საუბარი.

საუბარი, სავარაუდოდ, „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესს შეეხება. ისმის ორი მოსამართლის გვარი — ალავიძე და ახვლედიანი, საიდანაც, როგორც ცნობილია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბესარიონ ალავიძე „რუსთავი-2“-ის საქმის მოსამართლეა. ჩანაწერის მიხედვით, აღნიშნული პირები 3 მილიონის გაცემაზე საუბრობენ, რასთან დაკავშირებითაც, სავარაუდოდ, ნიკა გვარამია აღნიშნავს, რომ „3 მილიონი სალაპარაკოც არ უნდა იყოს“, ამასთან, ამბობს, რომ „ახვლედიანმა ალავიძეზე ბევრად უფრო მეტი ფასის საქმე შეასრულა“.

ნიკა გვარამია: აუდიოჩანაწერზე ეს არის უმოწყალო მონტაჟი!

ნიკა გვარამიას მტკიცებით, „უკრაინული რევოლუციის“ მიერ გავრცელებული აუდიოჩანაწერი, რომელიც თითქოსდა მისი და ზურაბ ადეიშვილის საუბარს ასახავს, „უმოწყალო მონტაჟია“. მისივე თქმით, ეს იყო სუს-ის პასუხი „რუსთავი-2“-ზე გუშინ გასული სიუჟეტის გამო, რომელიც მოსამართლე ნაზლაიძის მიერ ქრთამის აღებას ეხება.

„ეს საუბრები არ არის ჩემი და არის დამონტაჟებული. აღებულია ჩემი ხმა ჩემი რამდენიმე საუბრიდან — რაც ვიცანი, არის 4-5 საუბარი და რაც ვერ ვიცანი, კიდევ სხვა საკითხია. ბატონ ადეიშვილთან ჩემი საუბარი ბუნებაში არ არსებობს ან უფრო სწორად არსებობს. მინიმუმ 2 წელია, ჩვენ ტელეფონით არ გვისაუბრია, ჩვენი საუბრები შემდგარია კიევში პირისპირ. რამდენიც არ უნდა ეცადოთ, ჩემი კორუფციაში გასვრა, არ გამოვა. რაც შეეხება მამუკა ახვლედიანს, იგი არასდროს წარმოადგენდა ჩემს ინტერესს, მას არასდროს შეხება არ ჰქონია არც „რუსთავი 2“-ის და არც ჩემს საქმესთან... რაც შეეხება ამ ჩანაწერს, ეს არ არის ჩემი და ადეიშვილის საუბარი. ეს არის ჩემი საუბრების კომპილაცია სხვადასხვა ადამიანებთან. ბატონი ადეიშვილის ხმა არის თუ არა, მე ვერც დავადასტურებ, ვერც უარვყოფ, მაგრამ თუ არის, ისიც აღებულია, როგორც ჩანს, სხვადასხვა ადამიანებთან მისი საუბრებიდან. შეუიარაღებელი ყურისთვისაც გასაგებია, რომ ეს არის უმოწყალო მონტაჟი და როგორც ჩანს, ჩვენ მოგვიწევს სტუდიაში ახალი ექსპერიმენტების ჩატარება, უკვე სატელეფონო საუბრების აწყობა და ამას მაყურებელი იხილავს“, — განაცხადა გვარამიამ. მისი თქმით, მსგავსი სიბინძურეების გავრცელებას, მათ შორის პირადი ხასიათისას, უახლოეს დღეებში კიდევ ელოდება.

რედაქციისგან: ნიკა გვარამიას ამ აბდაუბდიდან ნათლად ჩანს, რომ ის კიდევ ერთხელ გაება მახეში, რომლისგანაც თავის დაღწევა ძალიან გაუჭირდება.

ბესელია გვარამიას წინააღმდეგ საქმის აღძვრას არ გამორიცხავს

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გუშინ გამოქვეყნებული ჩანაწერების გამო რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას არ გამორიცხავს. კითხვაზე არსებობს თუ არა ამის ალბათობა, ეკა ბესელია ამბობს, რომ ალბათობა არსებობს.

„უკვე იმდენი მასალა დაგროვდა ბოლო პერიოდში ამ ჩანაწერების თუ სხვადასხვა ინფორმაციის, ფაქტები, საჯარო რეესტრის ამონაწერები და ა.შ. იმდენი მასალაა უკვე, რომლითაც შეესაძებელია ყველამ გააკეთოს დასკვნა, რა მძიმე სისტემასთან გვქონდა საქმე წარსულში, რომელიც დღესაც ცდილობს თავისი გავლენის შენარჩუნებას და ეს ყველაფერი მე, როგორც იურისტს, მარწმუნებს, რომ ერთი ფორმულის და ერთი შეთანხმების ნაწილი გამოძიების საგანია. ჩვენ ყველა ველოდებით საბოლოოდ დაიდოს დასკვნები ამ ცალკეული დანაშაულის შემცველი ინფორმაციების თაობაზე“, — განაცხადა ბესელიამ.

პროკურატურა დეტალების გასაჯაროებას არ აპირებს

მოსამართლეებზე ბესარიონ ალავიძესა და პაატა ქათამაძეზე შესაძლო ზეწოლის ფაქტზე გამოძიებასთან დაკავშირებით მთავარი პროკურორის მოადგილემ კომენტარი გააკეთა. გიორგი გოგაძის განცხადებით, ძირითადი დეტალები საზოგადოებისთვის ცნობილია და პროკურატურა ამ დროისთვის გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მეტი დეტალის გასაჯაროებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

„უმთავრესი ინტერესი არის გამოძიების ინტერესი, რათა არ დაზიანდეს გამოძიების ინტერესი. საკითხები გასაჯაროვდება მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროდ ჩაითვლება,“ — განაცხადა გიორგი გოგაძემ.

გამოძიება 14 იანვარს, მოსამართლეების და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზეა დაწყებული, თუმცა სავარაუდო ზეწოლის შინაარსს არც პროკურატურა და არც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არ ასაჯაროებენ.

ოპოზიციის ბრალდებებს ირაკლი ლექვინაძე ეხმაურება

ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საქმის მოსამართლის ოჯახისთვის მიწის ნაკვეთისა და თანხის გადაცემასთან დაკავშირებით, ოპოზიციის ბრალდებებს თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე ეხმიანება და აცხადებს, რომ დოკუმენტი, რომლითაც აღნიშნული ოპერაცია განხორციელდა, სამართლებრივად აბსოლუტურად გამართულია.

„თბილისის მერიის სახელით, მინდა განვაცხადო, რომ დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც არის განხორციელებული აღნიშნული ოპერაცია, გახლავთ სამართლებრივად აბსოლუტურად გამართული და ის ეფუძნება იმ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მექანიზმებს, რომელიც არის განსაზღვრული ჩვენს ქვეყანაში. პირველ რიგში, მინდა გავაკეთო განმარტება ერთ მილიონ ლართან დაკავშირებით. ეს არის თანხის მოცულობა, რომლითაც განსაზღვრულია და შეფასებულია 1624 კვ მეტრი მიწის ნაკვეთის ღირებულება, რომელიც მდებარეობს სტიქიური უბედურების ზონაში. ამ ნაკვეთის დათმობის სანაცვლოდ, მისმა მფლობელმა მიიღო ნაწილობრივ მიწის ნაკვეთი, დაახლოებითი 515 ათასი ლარის ღირებულების და დარჩენილი სხვაობა, დაახლოებით 455 ათასი ლარი, ანაზღაურებული იქნა საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. აღნიშნული ნაკვეთი მდებარეობდა სტიქიური უბედურების ზონაში. ის, მართალია, არ წარმოადგენდა საცხოვრებელ ტერიტორიას, მაგრამ ეს იყო ადგილი, სადაც საინვესტიციო ვალდებულება იყო განსაზღვრული მემორანდუმით და რადგანაც იქ სტიქიამდე გარკვეული ეკონომიკური აქტივობა იყო დაშვებული, სწორედ ამიტომ, იქნა აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული“, — განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ. მისივე თქმით, მსგავს პრეცედენტს აქამდეც ჰქონდა ადგილი და ამის მაგალითად მერის მოადგილემ თამაზ და მინდია ელიზბარაშვილების ქონება დაასახელა.

„ზუსტად ანალოგიური პროცესი განხორციელდა იგივე თამაზ და მინდია ელიზბარაშვილების ქონების გამოსყიდვის შემთხვევაშიც, როდესაც მათი ქონებაც სამხარაულის ექსპერტიზის მიერ შეფასებულ იქნა, დაახლოებით მილიონნახევარ ლარად და ამ თანხის ნაწილი ანაზღაურებული იქნა მიწის ნაკვეთებით და ნაწილი ფულადი ანაზღაურებით. ამიტომ, ნებისმიერი საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ აქ რაიმე სამართალდარღვევით არის გაკეთებული, არის აბსოლუტურად შეუსაბამო რეალობასთან და ეს არის ძირითადად პოლიტიკური ინტერპრეტაციების მთავარი თემა“, — განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.



მოხედეთ, მოხედეთ, მოხედეთ რუსთავს!

საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, პრემიერს გიორგი კვირიკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონებო, საქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭეს იოსებ სტალინის მიერ აღდგენილი ნაქალაქარი, ქვეყნისთვის მეოცე საუკუნის უდიდესი მონაპოვარი, რუსთავი, ცოტა ხნის წინათ საქართველოს ერთ-ერთი ინდუსტრიული ცენტრი, ახლა უკვე 100 ათას მოსახლემდე შემცირებული, დღეს სავალალო მდგომარეობაშია.

ორი ათეული წლის წინათ 44 სამრეწველო საწარმოს ქალაქი, სადაც 90 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული, ახლა ყოველდღიურად ასობით ადამიანს ყრიან მშობლიური საწარმოებიდან. ამ დღეებში კი დიდი ქიმიიდან ადმინისტრაციის უპრეცედენტო მოქმედება მოხდა — 350-ზე მეტი პროფესიონალი გამოყარეს! არადა, აზოტი ამიერკავკასიაში ერთადერთი საწარმოა, რომლის პროდუქციაზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება და ურომლისოდაც სოფლის მეურნეობა ვერ იარსებებს.

ეს იმ დროს როდესაც ქალაქის სკოლებს ყოველწლიურად 4 ათასზე მეტი ახალგაზრდა ამთავრებს, უმაღლესს ათასზე მეტი, რუსთავში კი სამუშაო ადგილები მცირდება, ასეა უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე, რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ცხადია, ამ პრობლემას ადგილობრივი ხელისუფლება ვერ გადაჭრის.

არადა, ქვეყნის ზემდგომი ეშელონებიდან, სახელმწიფო ორგანოებიდან კი უბრალო დაპირებებიც არ ისმის. პირველი პირი ერთხელაც არ ჩამოსულა, რათა ვითარებაში გარკვეულიყო. უფრო მეტიც, რუსთავს, როგორც ქალაქს, არც კი ახსენებენ.

გადავარჩინოთ რუსთავი, ვიხსნათ უმუშევრობა სიღარიბისაგან, გავხსნათ ახალი საწარმოები, პირველ რიგში ნანოტექნოლოგიები მოვიშველიოთ!

ეს თხოვნა-მიმართვა დღეს სრულიად საქართველოს აკისრებს პასუხისმგებლობას, ამიტომ მოვითხოვთ საჭირო ღონისძიების დაუყოვნებლივ გატარებას.

კმარა ნაციონალების სიძულვილის ენაზე ყიყინი, ბილწსიტყვაობა, რომლებიც საზოგადოებას მორალურ ზიანს აყენებს, მათ მიერ ჩვენგან არჩეული ხელისუფლების გაუთავებელი ლანძღვა, შეურაცხყოფა ყოველგვარ ზღვარს აღემატება.

ის რაც დღეს რუსთავში ხდება, არა მარტო ქალაქს, დიდ ქიმიას, თვით ქვეყნის ეკონომიკასაც დაანგრევს.

როგორც არაოფიციალური, მაგრამ საიმედო წყარო იტყობინება, ქიმიკოსთა მიმართ ამ ბარბაროსული მოქმედების უკან „გაზპრომი“ დგას, რომელიც წარმოებიდან კიდევ 400 მუშა-მოსამსახურის გაყრას გეგმავს, ეს „გაზპრომის“ დიდი ხნის ჩანაფიქრია, თუ ქარხანა არაპროფესიონალების ხელში აღმოჩნდა, ამას სავალალო შედეგი შეიძება მოჰყვეს, უფრო მეტიც, ქვეყნისთვის ასე მძიმე დემოგრაფიული დაღმასვლისა და სიდუხჭირის ჟამს, ყოველი ადამანი საჭიროებს სახელმწიფოებრივ თანადგომას.

კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, მოხედეთ რუსთავს.

რუსთავის საპატიო მოქალაქეები:
თინათინ სიმშაშვილი, თარაშ ესიავა, ვალერიან გრძელიშვილი, გოგი ბრეგაძე, გივი ჯაახუა.

რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრები:
მურად გომატიშვილი, ზურაბ გიორგაშვილი,

საქართველოს დამსახურებული ქიმიკოსი:
თამაზ კარდახიშვილი.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა რუსთავის ხვალინდელ დღედ უნდა იქცეს!

ახლად **არჩეული პარლამენტის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა მხეიძე რუსთავში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის ინიციატივით გამოვიდა.**

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის სპეციალური ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი სახე,სადაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოქმედებს საგადასახადო შეღავათები და დამატებითი პირობები. სპეციალური ეკონომიკური ზონები მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული. მას აქტიურად იყენებენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: ამერიკის შეერთებული შტატები, სამხრეთ კორეა, თურქეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, გაერთიანებული სამეფო, ირანი, ინდოეთი, რუსეთი, ჩინეთი, მალაიზია, ფილიპინები და სხვა.

სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნა მიზნად ისახავს ინვესტიციების გაზრდას ბიზნესისთვის მაქსიმალურად მისაღები ეკონომიკური გარემოს შექმნის გზით. სპეციალური ეკონომიკური ზონების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობებია: ურბანული ეკონომიკური ზონა, ინდუსტრიული ზონა, თავისუფალი სავაჭრო ზონა, თავისუფალი ეკონომიკური ზონა და თავისუფალი პორტები. საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა 2008 წლიდან დაიწყო. შეიქმნა თავისუფალი ინდუსტრიული ზონები თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ყულევში; განისაზღვრა საგადასახადო შეღავათები და სხვა დამატებითი ეკონომიკური წამახალისებელი პირობები თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიებისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ორგანიზატორებისათვის.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორი შეიძლება იყოს საწარმო, რომელიც არის აღრიცხული გადასახადის გადამხდელად.

ორგანიზატორმა უნდა უზრუნველყოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის კანონმდებლობის შესაბამისად აღჭურვა და ფუნქციონირება.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა, თუმცა ინდუსტრიული ზონის შესაქმნელი დოკუმენტაციის შემოწმებაში და ამ ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირების დაწყებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და შემოსავლების სამსახური. კერძოდ, შემოსავლების სამსახური, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მიერ ფუნქციონირების დაწყებამდე, ვალდებულია, ფიზიკურად შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა აღნიშნული ინდუსტრიული ზონა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მხოლოდ ასეთი შემოწმებისა და შემოსავლების სამსახურის მიერ დადებითი დასკვნის შემთხვევაში შეუძლია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას დაიწყოს ფუნქციონირება და, შესაბამისად, ამოქმედდეს საგადასახადო შეღავათები და დამატებითი პირობები.

თიზ-ის შექმნამ შეიძლება უდიდესი გავლენა იქონიოს ქალაქ რუსთავის ეკონომიკურ განვითრებაზე. ქალაქში არსებული ინდუსტრიული პოტენციალი, სამრეწველო ინფრასტრუქტურა და კვალიფიციური საინჟინრო და ვიწრო სპეციალიზაციის კადრები წარმოადგენს შესაფერის სასტარტო რესურსს, რის ბაზაზეც შესაძლებელია თიზ-ის საწარმოს (საწარმოების) წარმატებული ფუნქციონირება. ეს კი, თავის მხრივ, **მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას. ქალაქის ბიუჯეტს გაუჩნდება დამატებითი შემოსავლების წყარო და შესაძლებლობა, დააფინანსოს ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური და ჯანდაცვითი პროგრამები. ქვეყნის ხელისუფლება მზად არის, დაიწყოს სერიოზული მსჯელობა ქალაქ რუსთავში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნასთან დაკავშირებით,** თუკი მოიძებნა დაინტერესებული ინვესტორი, რომელიც მზად იქნება, საექსპორტო პროდუქციის წარმოებაში დააბანდოს საკუთარი კაპიტალი. **ამასთან ერთად აუცილებელია, ადგილობრივმა ხელისუფლებამაც გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, რაც გულისხმობს:**

— იგივე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ნაკლოვანებების გამოსწორებას და მის სასურველ კონდიციამდე მიყვანას. დღევანდელი მდგომარეობით სივრცით-ტერიტორიული საკითხები არ არის სათანადოდ რეგულირებული, რაც დამატებით სირთულეებს უქმნის მეწარმეებს და, სავარაუდოდ, ეს პრობლემად იქნება აღქმული პოტენციური ინვესტორების მიერაც;

— ადგილობრივი ხელისუფლების მიერ თიზ-ისათვის შესაბამისი სივრცის შერჩევა, იქ სათანადო კომუნიკაციების (გზა, წყალი, ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი და სხვ) მიყვანა და ინვესტორებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა;

— იდეის რეკლამირება და ინვესტორების მოძიება.

პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი რუსთავიდან პაატა მხეიძე უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს სამთავრობო უწყებებთან და მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან, რუსთავში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნასთან დაკავშირებით. ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. პარალელურად კი იგი გეგმავს ქალაქში მოქმედ ბიზნეს-კომპანიების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრას, რომელზედაც საუბარი შეეხება თიზ-ის შექმნის პერსპექტივას ქალაქ რუსთავში და ადგილობრივი ბიზნესმენების შესაძლო მონაწილეობას თიზ-ის შექმნაში, ან თუნდაც, პოტენციურ ინვესტორთა მოზიდვის საქმეში. ასეთი ფორმატის შეხვედრები ინტენსიურ ხასიათს მიიღებს. პაატა მხეიძე ფიქრობს, შეიქმნას ქმედითი პლატფორმა, რაც გულისხმობს ფართო საარეკლამო კამპანიის წარმოებას და სხვადასხვა დონის ფორუმების ორგანიზებას ბიზნესმენების, უცხოური საინვესტიციო ფონდების, საქართველოს თანაინვესტირების ფონდისა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ქალაქის მდგრადი ეკონომიკური განვითარების, საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებული ახალი საწარმოების შექმნის, ადგილობრივი მუშახელის დასაქმების საკითხის გადაწყვეტა საშუალოვადიან პერიოდში უნდა იქცეს მთავარ ამოცანად. ამ მიზნის მიღწევა მრავალ სირთულესთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ მთავარია, საქმე დაიძრას მკვდარი წერტილიდან. მაჟორიტარი დეპუტატი დარწმუნებულია, რომ საქმისადმი პრაგმატული მიდგომით და ერთობლივი ძალისხმევით მიზნის მიღწევას წინ ვერაფერი დაუდგება.

გივი ჯაახუა,
რუსთავიდან

თათია მოლაშვილი: ვაცხადებ, სულხანი სიკვდილამდე სააკაშვილმა, ადეიშვილმა და ბოკერიამ მიიყვანა!

„სულხანისთვის არასდროს დამისვამს კითხვა როგორ აწამებდნენ ციხეში, რადგან მერიდებოდა, არ ვაძლევდი თავს უფლებას, არც მას არ უთქვამს ჩემთან არაფერი, მაგრამ ხომ ვგრძნობდი, რაშიც იყო საქმე. სულხანის ინტერვიუებით ვიგებდი ამ ამბებს. ან რა გაგება მინდოდა, ვუყურებდი ჩემს ქმარს, რომელიც ციხიდან სულ სხვა ადამიანი გამოვიდა... სულხანს რომ შეხედავდი, იქ საჭირო იყო რამე კითხვის დასმა?!“ — აცხადებს „აიპრესთან“ საუბრისას სულხან მოლაშვილის მეუღლე.

თათია მოლაშვილი იმ დღეს იხსენებს, როცა პირველად ნახა ნაწამები მეუღლის ფოტოები.

— თათია, როგორც ვიცი, თქვენ პირველად სწორედ მაია ნიკოლეიშვილმა გადმოგცათ სულხანის წამების ამსახველი ფოტოები...

დიახ, მაიამ ჩაატარა ექსპერტიზა... მაიას რიყესთან შევხვდი, მე მაშინ არც ვიცოდი, მაია ვინ იყო. დამირეკა, თქვენთან საქმე მაქვს და ისეთ ადგილას შემხვდი, რომ არავინ დაგვინახოსო. შევხვდით, სულხანი ამ დროს უკვე მეშვიდე საპყრობილეში იყო, იმ პირობებში, რაც წამების ტოლფასი კი არა, წამებაზე უარესი იყო. მაიამ მითხრა, სულხანმა გადმოგცა, კარგად ვარ, არ ინერვიულოსო და უცებ მაძლევს იმ საშინელ ფოტოებს. მე ვუთხარი, ქალბატონო მაია, ამას ჰქვია კარგად ყოფნა-მეთქი?! ვნახე უკვე, რა დღეშიც იყო სულხანი. მაიას გადაღებული ფოტოები გავრცელდა შემდეგ...

ჩვენ არ გვქონდა სულხანთან შესვლის უფლება თითქმის 2 წელი, სულხანი ეხვეწებოდა, ბავშვები მაჩვენეთ, ვაკოცებ ერთხელო... ელენე 1 წლის და 8 თვის იყო, ეხვეწებოდა, რომ ელენე ეჩვენებინათ, ელენე არ შეიძლება, რადგან ინფორმაციას გაიტანსო... ელენეს ლაპარაკიც კი არ შეეძლო... ეგენი ადამიანები არ იყვნენ...

ფაქტი აშკარაა, ვინც დანმაშავეა სულხანის წამებაში და მის ასეთ გაუბედურებაში, ყველა დაუსჯელია დღეს. ისიც კი აწუხებდათ, რომ სულხანი ცოცხალი გადარჩა და სუნთქავდა. სულხანის მოსპობა ციხეშიც უნდოდათ, უბრალოდ, ვერ მოასწრეს, არ ელოდებოდნენ, ასე თუ გახმაურდებოდა სულხანის წამების ფაქტი და მთელი მსოფლიო გაიგებდა.

— რატომ ჰქონდათ სულხანის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, რა იყო ამის რეალური მიზეზი?

— მიზეზი ის იყო, რომ სულხანს ჰქონდა ის ღირებულებები, რაც მათ არ გააჩნდათ. ვერ იტანდნენ ეგენი კაცებს, ქართველებს, მართლმადიდებლებს, ოჯახის მოყვარულ ადამიანებს. თვითონ შვილებს გადაიფარებენ, საკუთარი ტყავის გადასარჩენად.

სულხანს ჰქონდა შეთავაზება, გამოდი და თქვი, შევარდნაძე ვაკუუმშია, სრულ ინფორმაციას ვერ ფლობს, ქვეყანაში რა ხდებაო. რევოლუციამდე ურეკავდნენ, მომავალი მაღალჩინოსნები და ეუბნებოდნენ, გადმოდი ჩვენთან, დაადე ხელი შევარდნაძეს, და ყველაფერი კარგად იქნებაო. თანამდებობასაც შეინარჩუნებ და ხელშეუხებელიც იქნებიო, მაგრამ სულხანმა ეს არ გააკეთა. თავის ღირსებას, კაცობას ვერ უღალატა. ქვეყანას ვერ უღალატა.

თავი არ დაუხარა არავის და უკან არ დაიხია, გამოაქვეყნა და საჯარო გახადა ის მასალები, რაც სააკაშვილის კორუფციულ გარიგებებზე ჰქონდა, როცა ეს უკანასკნელი იუსტიციის მინისტრი იყო.

სააკაშვილი, ბოკერია, ადეიშვილი და მერაბიშვილი არაკაცების ხროვაა. მე გთხოვთ, რომ ზუსტად ისე დაწეროთ, როგორც ვამბობ. ეს ჩემი უფლებაა, მე მაქვს ამის უფლება.

— თქვენ თქვით, რომ სულხანს ჰქონდა მიხეილ სააკაშვილის კორუფციაში მამხილებელი მასალები. ხომ არ იცით, სად არის ეს მასალები?

— ყველაფერი წაიღეს. ვალერი გრიგალაშვილი ერთ ღამეს შეიჭრა კონტროლის პალატის არქივში და გაზიდეს. 2 თუ 3 მანქანა გაიტანეს, ყველაფერი, რაც ეხებოდა სააკაშვილს. ყველაფერი გაანადგურეს.

კადრებია ტელევიზიებიდან განადგურებული. ღამის სამ საათზე რომ ჩაუტარეს სულხანს სასამართლო, ამის

კადრები აღარ არსებობს ფიზიკურად არც „იმედში“ და არც „რუსთავი-2“-ში. ყველა გვეუბნება, არ გვაქვსო.

— ქალაქის მაშინიდელმა პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა არაერთხელ გააკეთა განცხადება, რომ გამოძიება კანონის სრული დაცვით ჩატარდა. თქვენ რა კონტრარგუმენტები გაქვთ მისი ამ განცხადების წინააღმდეგ?

— ვალერი გრიგალაშვილი იმასაც ამბობს, ციხეში სულხან მოლაშვილს აპარტამენტები და ევრორემონტი ჰქონდაო.

სულხანს საათის ქონის უფლებაც კი არ ჰქონდა, არც კალენდრის, არც სინათლის, დღეს ინტერნეტიდან დაწყებული, ტელევიზორით დამთავრებული ყველაფერი აქვთ...

სარდაფში, სადაც სულხანი იჯდა, არ იყო ელექტროგაყვანილობა... სრულიად სიბნელეში იყო, მათიას იორში რომ შევიდა პირველად და კარები გაუღია, შუქი რომ მოხვდა სულხანს, დაცემულა.

მათიას იორშთან ერთად კიდევ მეორე წარმომადგენელი იყო ევროკავშირიდან, ცუდად გახდა ის კაცი და გაიყვანეს საკნიდან. მათიას იორშს ინტერვიუ რომ ჩამოართვეს ჟურნალისტებმა, თქვა, ასეთ პირობებში ჩვენთან ცხოველებს არ ამყოფებენო.

კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით... ციხეში, სადაც სულხანი იჯდა, ერთ-ერთ დაკავებულ თანამდებობის პირთან შეაგზვნეს ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, ბადრაგი არ იდგა იმ დროს, გასული იყო. სულხანს ცხელი ხაჭაპურები მიაწოდა ამ ადამიანმა და იმდენად შიოდა, მთლიანად დაუკეცია და მთლიანად ჩაუდია პირში, მაგრამ ბადრაგს მიუსწრია და გადმოაყრევინა პირიდან. ჩვენ არაფერს გვაგზავნინებდნენ, არაფერს არ იღებდნენ, რადგან არაფრის შეტანა არ შეიძლებოდა.

— თქვენ განაცხადეთ, რომ სახლის გადაფორმების თემას პირადად ვალერი გრიგალაშვილი ხელმძღვანელობდა. სახლის გადაფორმებას სულხანის ციხიდან გამოსვლის სანაცვლოდ გთავაზობდნენ?

— გრიგალაშვილი და კახა კობერიძე თვითონ იყვნენ მე-7 საპყრობილეში მისულები სახლის თემაზე. სულხანმა უთხრა, თათიას დაურეკეთ, მე როგორ გავაკეთებ აქედან, ჩემი ცოლი რასაც ეტყვით, იმას გააკეთებსო.

ამის შემდეგ, მე მელაპარაკნენ, და გრიგალაშვილმა ჩემთან დედა დაიგინა, ნახავთ, თუ არ გამოვა მეორე დღესვეო, სასამართლო იყო უკვე ჩანიშნული.

სულხანს ეგონა, რომ მე უარს ვიტყოდი ამაზე და ამიტომ დამალაპარაკა გრიგალაშვილს, მაგრამ მე სულხანის გამო ყველაფერს გავაკეთებდი. თანაც ეს სახლი ჩვენი საკუთრება კი არ იყო. ჯერ ვიყიდეთ და მერე გადავუფორმეთ. ნახევარ საათში მოხდა ეს ყველაფერი. ყველაფერი თვითონ მოაგვარეს უცებ ნოტარიუსთან, საღამოს, როგორც სჩვეოდათ.

სამჯერ ჩამიყვანეს მარნეულში, მარნეულს ეკუთვნოდა მაშინ წავკისი, გარდაბანში ჩამიყვანეს, და 7-ის ნახევრამდე მელოდებოდა ნოტარიუსი, შუაღამეს იქ დამხვდა შალიკიანის ცოლი ატირებული, და ასე უფორმებდა იმ ნოტარიუსში თავის ქონებას ამ ნაძირლებს.

ამ ყველაფერს აგვარებდა ვალერი გრიგალაშვილი. მე უკვე ბავშვები მომზადებული მყავდნენ, ველოდებოდით, რომ სულხანს გამოუშვებდნენ სასამართლოდან. ტელევიზორს ვუყურებდი და გავიგე, რომ სულხანი საერთოდ არ მიიყვანეს სასამართლოში, გაუარესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. გავვარდი იმ წუთას ციხეში და დავინახე, რომ ზუსტად ამ დროს სასწრაფოთი გამოჰყავთ სულხანი.

აი, ეს იყო ჩემი გადაფორმებული წავკისის სახლი. გადამაფორმებინეს იმიტომ, რომ მომაკვდავი სულხანი საავადმყოფოში გადაეყვანათ.

გრიგალაშვილს რა ნამუსით აქვს ხმა ამოსაღები? გრიგალაშვილი მე რომ დამინახავს სასაფლაოზე, არ მოვიდეს , თორემ არ ვიცი, იქ რა მოხდება. არაკაცი, მის ოჯახს ჰგონია, რომ კაცი ჰყავთ? ეგ არის არაკაცი! პათოლოგი არაკაცი და გამცეს ახლა პასუხი!

— გარდა იმ წამებისა, რაც სტრასბურგის სასამართლომ დადასტურებულად ცნო, ამბობენ, რომ ციხეში სულხანს არასწორად მკურნალობდნენ, რამაც კიდევ მეტად შეარყია მისი ჯანმრთელობა. თქვენ თუ იცით რამე ამის შესახებ?

— თვითონ არ ამბობდნენ, რასაც უკეთებდნენ სულხანს? სააკაშვილი და ადეიშვილი? სასწრაფოსაც კი არ მიგვაკარეს, ასე მივსდევდით და ვეხვეწებოდით...

პირველად მაშინ დავინახე სულხანი ახლოდან, ჩავხედე სასწრაფოს მანქანაში და სულ სხვა ადამიანი იწვა — წვერებით, გამხდარი, სანთელივით კაცი. რას უკეთებდნენ, თვითონ უფრო არ იციან, რასაც უკეთებდნენ? მთელი სახელმწიფო ებრძოდა, თურმე, ერთ სულხან მოლაშვილს, მაგრამ როგორ ჰყვარებია ხალხს, ამითაც გამსკდარი იქნება გულზე სააკაშვილი. სააკაშვილის დასაფლავებაზე ორი კაცი დადგება მარტო, ცოლ-შვილიც კი არ დაუჯდება იქ.

დიახ, ვაცხადებ ხმამაღლა და საჯაროდ! ვაცხადებ, სულხანი სიკვდილამდე სააკაშვილმა, ადეიშვილმა და ბოკერიამ მიიყვანა!

სააკაშვილი, რომელიც პრეზიდენტი კი არა კაცმაცუნა იყო, გაცოფებული იყო სულხანზე, ვერაფერი მოუხერხა, ვერ გატეხა! ჯერ იყო და 14 წლის შვილი მიცემეს, რომ სარჩელი გამოეტანა სულხანს სასამართლოდან, მერე იყო და ძმა, თორნიკე დაიჭირეს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ, იმიტომ რომ სულხანი იყო კაცი და არა მათი მსგავსი ლაჩარი!

ბედნიერი ვარ, რომ მე ოჯახი სულხანთან ერთად შევქმენი. ხომ ასე მალე წავიდა ამ ქვეყნიდან და ახალგაზრდა, 46 წლის, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ იმ მოკლე პერიოდითაც, რაც სულხანის გვერდით გავატარე.

ლევან რამიშვილმა თქვა, ჩემი ნება, რომ იყოს, რუსთაველის ხეებზე სახრჩობელაზე ჩამოვკიდებდი სულხან მოლაშვილსო.

თავიდან მიშას პიარი რომ უნდოდა, მოკრიფეს უსახლკაროები და წაიყვანეს. ამ ხალხს რომ გაუგია, სულხანის სახლი იყო, ყველამ დატოვა ის სახლი, იმ უსახლკაროებმა ინამუსეს, არ გაჩერდნენ, ამ სახლში ჩვენ არ გავჩერდებითო.

გრიგალაშვილი გამოდის და ამბობს ხალხში, რომ ნახევარმილიონიანი ბუხარიაო.. ჭაჭის ქვით ნახევარმილიონიანი ბუხარი ვის აქვს და ტყვიაგაუმტარი ფანჯრები.

— როგორ მოხდა სულხანის გათავისუფლება? ჩაერია თუ არა ამ საქმეში პატრიარქი?

— პატრიარქს ძალიან უყვარდა სულხანი. ნინო ბურჯანაძის 40-დღიანი პრეზიდენტობა იყო და იმ დროს ნინო მივიდა პატრიარქთან. მაშინ უთხრა უწმინდესმა, შენ გაქვს ახლა ეს შანსი და გამოიყენე, გამოუშვი სულხან მოლაშვილი და დავით მირცხულავაო.

ნინო ბურჯანაძემ იმ წუთას ხელი მოაწერა შეწყალებას და გამოუშვა. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ეს ამბავი. იმდენად გარეწრები იყვნენ, ბაჩო ახალაია შევიდა სულხანთან საკანში და უთხრა, გინდა თუ არა, უნდა დაწერო, გთხოვთ მაპატიოთო, შეწყალება თუ გინდაო. ნაძირლები! შეწყალებული იყო სულხანი და ატყუებდნენ, არ ხარ შეწყალებული და ეს უნდა დაწეროო. იცით, რა ტექსტი დაუდეს? იცით, რა უნდა დაეწერა?! მთელი ცხოვრება მადლიერი ვარ სააკაშვილის და მასთან არანაირი პრეტენზია არ მაქვსო.

სულხანმა ეს არ ქნა, დავრჩები აქო. სულხანმა კაცურად გაიარა თავისი ცხოვრება, ყველას შეშურდება, და ახლა მკვდარი სულხანისიც კი შურს იმ კაცმაცუნას.

მალხა – იდუმალი გამოძახილი

● ბოლომდე წაუკითხავი წიგნის კომენტარები
● გრიგოლ ფერაძე, „იერიქონის ვარდები“

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გრიგოლ ფერაძის დაღუპვის შემდეგ მასზე ლეგენდებს თხზავდა მადლიერი პოლონელი ხალხი, რადგან ის იყო საინტერესო მეცნიერი და საოცარი სულიერი მოძღვარი, რომელიც მოწამებრივად აღესრულა.

თავის სამშობლოში, საქართველოში, გრიგოლ ფერაძე 1995 წელს „წმინდანის“ წოდებით დაბრუნდა.

ქალბატონი თამილა მგალობლიშვილი – აღმოსავლეთმცოდნე, მკვლევარი, არქეოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრის დამაარსებელი, იერუსალიმის ექსპედიციების ხელმძღვანელი წუხს, რომ გრიგოლ ფერაძის სახელი ფართო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ ნაკლებად არის ცნობილი, განსაკუთრებით მის სამშობლოში. ამანაც უბიძგა, რომ გრიგოლ ფერაძის დღიურების ქართულ ენაზე გამოცემა მოეწადინებინა.

2005 წლამდე 1936 წლის მოგზაურობის ჩანაწერები დაკარგული ეგონათ, მაგრამ გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფის, მამა ჰენრიკ პაპროცკის ძალისხმევით მიაკვლიეს პოლონეთის სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში დაბეჭდილ მასალებს. უმნიშვნელო დანაკარგების მიუხედავად, დღიური გაამთლიანეს და 2012 წელს წიგნად გამოსცეს. მას აქეთ თამილა მგალობლიშვილი ეძებდა პარტნიორებს, იკრებდა შემოქმედებით ჯგუფს, არჩევდა საილუსტრაციო მასალას... ქალბატონმა თამილამ მკვლევრის შეუპოვრობით, მეცნიერის სიდინჯით, ენთუზიასტი ხელმძღვანელის ალღოთი ახალი სიცოცხლე შთაბერა ისტორიულ დღიურებს. გრიგოლ ფერაძე ხომ მისთვის სათაყვანებელი წინმავალი კაცია, რომელსაც კვალში უდგას ქართული სიძველეების მოძიებისა და კვლევის საქმეში. ამიტომ მისი შთაბეჭდილებები, მის ჩანაწერებში შემორჩენილი ყოველი მისამართი, ყოველი წიაღსვლა და მინიშნება გზამკვლევისა და ორიენტირის ფუნქციასაც ასრულებდა და მეტად მნიშვნელოვანი იყო მისთვის, როგორც მეცნიერისთვის, მაგრამ რიგითი მკითხველისთვის ქართულ ტექსტს მეტი სიმსუბუქე და მიმზიდველობა შესძინეს იმით, რომ მომეტებული დაზუსტებებისაგან გაათავისუფლეს. ვფიქრობ, მიზანი მიღწეულია, მკითხველი ადვილად მიჰყვება თხრობას, უნებურად კარგავს დროისა და სივრცის საზღვრებს და თავისი ასოციაციები უჩნდება, თავისი დამოკიდებულება უყალიბდება. პირადად მე, მგონი, ძალიან შორს წავედი ჩემი ასოციაციებით, მაგრამ მაინც მინდა გიამბოთ ამის შესახებ.

ნაწყვეტი დღიურიდან:

11 ივლისი, შაბათი

ბერძენთა გადმოცემით, წმ. ჯვრის მონასტერი იმპერატორმა წმინდა კონსტანტინე დიდმა ააგო, მაგრამ ამის არავითარი საბუთი არ არსებობს. სინამდვილეში იგი მე-11 საუკუნეში ერთმა ქართველმა პროხორემ დააარსა. თუმცა ვერ უარვყოფთ, რომ მან, შესაძლოა, იქ მანამდე არსებული მონასტერი აღადგინა. ქართული წყაროები ურთიერთსაპირისპირო ცნობებს გვაწვდის...

ქართული გადმოცემის მიხედვით, პირველმა ქართველმა ქრისტიანმა მეფემ, მირიანმა (მე-4 საუკუნე), მონასტრის გვერდით ქართული სოფელი დააფუძნა, რათა ამ სოფლის მკვიდრთ მონასტერი დაეცვათ და ყოველგვარი მომსახურება გაეწიათ. ამ მიზნით იქ მან ქართული სოფლებიდან წაყვანილი ოჯახები ჩაასახლა. ეს სოფელი ახლაც არსებობს, მას მალხა ჰქვია.

აი, აქ შევწყვიტე დღიურის კითხვა, დავხურე წიგნი და დამეწყო „მოკლე ჩართვები“: მომაგონდა, რომ მალხელი ქალის ფოტო ნანახი მქონდა თამილა მგალობლიშვილის სამუშაო მაგიდაზე ზედმიწევნით აკურატულად დაჯგუფებულ მასალებს შორის. ერთ-ერთი ექსპედიციის დროს გადაუღიათ უკანასკნელი მალხელი ბებო. რაკი ეს ფოტო გრიგოლ ფერაძის წიგნში ვერ მოხვდა, მას ალბათ რამე უფრო მნიშვნელოვანი კონტექსტისთვის ინახავენ... მაგრამ მე კარგად მახსოვს წარმოსადეგი, სანდომიანი ქალი კალთაში ჩაწყობილი ნაჯაფარი დიდი ხელის მტევნებით, იჯდა მშვიდად, მხნედ; მოჩითული კოჭებამდე დაშვებული სადა კაბა ეცვა და მხრებზე ხელით ნაქსოვი ბამბაქულა შალი ეფარა, თავზე კი – თეთრი თავშალი. მგონი, თამილა მეუბნებოდა, ახსოვს პაპამისის ნაამბობი მათი ქართული წარმომავლობის შესახებ და ისიც, რომ პაპა მონასტერს უვლიდაო, მაგრამ ამას ამჯერად ჩემთვის უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, მე უფრო შორს მივდივარ, მახსენდება: სიცხიანი ვჭირვეულობ, არ მინდა თერმომეტრის იღლიაში ჩადება, დედაჩემი კი ჩამოჯდება ჩემს საწოლზე, თერმომეტრს მიდებს და ამბობს:

„იწილო-ბიწილო, შროშანო-გვრიტინო, ალხო, მალხო, ჩიტმა გნახოს, შენი ფესვი, ფესვმანდური, სიკოჭორი კალმახური, აბდა-უბდა გადასკუპდა, ფრი!“

და მიჩნდება განცდა, რომ ეს სიტყვები, რომელიც ასე ჩამებეჭდა გონებაში, მაგრამ უბრალო სხარტულა მეგონა, ჩვენი წარსულის დიად მოგონებებს აცოცხლებს, მალხელ ხალხზე მოგვითხრობს, რომ ისინი გადასკუპდნენ, გადაფრინდნენ, კალმახური შეუპოვრობით დინებისა და სურვილების საპირისპიროდ გადაცურეს მშობლიური მიწაწყალი და იქ, კაცობრიობის ახალი ცივილიზაციის აკვანთან უფრო ახლოს დაესახლნენ, რომ აღესრულებინათ თავანთი მეფის სურვილი და მოევლოთ „საქრისტიანოში სახელგანთქმული იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრისთვის“.


გრიგოლ ფერაძე, 1930-იანი წლები

წმინდა მამა გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფი მამა ჰენრი პაპროცკი

არამეულ ენაზე მალხა სამეფოს ნიშნავსო. სამეფო განზრახულობისა და დიდი ძალისხმევის გარეშე სამშობლოდან ასე შორს, სადაც მათი ფესვი-ფესვმანდურის მნახველი მხოლოდ ჩიტები თუ იქნებოდნენ, პატარა სამეფოს, სოფლის დაფუძნება შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ თურმე ასე მასშტაბურად ფიქრობდა ჩვენი წინაპარი.

ჩემი წარმოდგენები დაუყოვნებლივ გავუზიარე თამილა მგალობლიშვილს, მაგრამ თავი შორს დაიჭირა, ეს უფრო ჟურნალისტური ავანტიურიზმით ნაკარნახევი ინტერპრეტაციებიაო. გულმოკლულს თანაგრძნობა მჭირდებოდა და ვისარგებლე დახმარებით: „ზარი ახლობელთან“.

დახმარება მართლაც ფასდაუდებელი აღმოჩნდა: ელზა ნაბახტეველმა ნახევარ საათში ჩემს სხარტულაზე ინტერნეტსივრცეში მოძიებული მასალების სრული მიმოხილვა გადმომიგზავნა – შეჯერებული, რედაქტირებული და დაკაბადონებული.

ინტერნეტარქივი შემახსენებდა, რომ უკვე სახელგანთქმული მწერლის თამთა მელაშვილის სადებიუტო თხზულების „გათვლის“ რეფრენადაც სწორედ საძიებო ფოლკლორული სტრიქონები იქცა, მაგრამ ნამდვილი საოცრება იყო ის, რომ თურმე სიღნაღის მუნიციპალიტეტის გაზეთში მხარეთმცოდნეობის არქივის უფროსს, ბატონ ნოდარ პაპუაშვილს საფუძვლიანი მოკვლევაც ჩაუტარებია ამ სტრიქონების მნიშვნელობის ამოსახსნელად. მინდა, ეს ტექსტი მთლიანად შემოგთავაზოთ:

ალხო-მალხო, ჩიტმა გნახოს...

ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ მრავალი რამ შემოგვინახა საუკუნეთა სიღრმიდან. დღეს არ ვიცი, მაგრამ ბავშვობაში ყველას მოგვისმენია საბავშვო თამაშობის ტექსტი: „იწილო-ბიწილო, შროშანო, გვრიტინო, ალხო-მალხო, ჩიტმა გნახოს“... ამ, ერთი შეხედვით, წარმართულ გათვლაში ყოველთვის დაგვბადებია კითხვა, რას ნიშნავდა ალხო-მალხო, ან იქნებ უბრალოდ სიტყვათა თამაში იყო და მეტი არაფერი?!

მაინც რა იყო ეს ალხო და მალხო, რომლებსაც მხოლოდ ჩიტი თუ ნახავდა?

ლექსიკონებში მალხა სოფელია იერუსალიმთან, ისე როგორც ირანის ფერეიდანის ჯუღაანი, მაჩხაანი და სხვა...

სოფელი, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე არ ივიწყებდნენ და ყოველდღიური საბავშვო თამაშობების ტექსტებშიც კი ჩართეს გასაოცარი მხატვრულობითა და სიყვარულით, ლეგენდის თანახმად, ათას ხუთას წელს ითვლის.

ქართული საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ სოფელი მალხა ქართველთა დაარსებული ყოფილა იერუსალიმის სამხრეთ ნაწილში. ლეგენდის თანახმად (იქნებ ფაქტობრივად ასეც იყო), **მეფე მირიანს,** როცა იერუსალიმი და ქრისტეს საფლავი მოუნახულებია, იქვე მიწის ნაკვეთიც შეუძენია მონასტრის დასაარსებლად. მეორე ვარიანტით, როცა **მეფე ვახტანგ გორგასალს** მოულოცია იერუსალიმი, მონასტრის აშენება უბრძანებია და მის დასაცავად ქართველთა რაზმი დაუტოვია იქ.

ჟურნალისტი ივან სტოვბუნი თავის წიგნში „შოთა რუსთაველის ფერსკა“, აღნიშნავს: „ქართული კოლონიის მრავალრიცხოვანებაზე თავისთავად მეტყველებს იერუსალიმის მახლობლად ქართველთა სოფლის **მალხას** (ამჟამად იერუსალიმის გარეუბანი – **მინხატი**) არსებობა. ამ ადგილის არჩევაც, ალბათ, შემთხვევით არ მომხდარა. ყველას, ვინც „წმინდა ქალაქის“ და **ბეთლემის ნახვას ეშურებოდა, ჯერ მალხაში უნდა გაევლო, სადაც, გადმოცემით, თავის დროზე ქრისტეს საფლავის მცველი ქართული გარნიზონი ყოფილა დაბანაკებული“.**

1757-1759 წლებში არქიმანდრიტი ტიმოთე გაბაშვილი იერუსალიმს ჩავიდა სიძველეთა მოსანახულებლად და წუხდა, რომ **საქართველოს აღარ ახსოვდა მალხელი ქართველები.** 1883 წელს კი ა. ცაგარელი წერს: **„იერუსალიმიდან 20 წუთის სავალზე „ვარდების ღელეში“ მდებარეობს სოფელი მალხა. ეს სოფელი განთქმული იყო ვარდის წყლის წარმოებით, რომელსაც იერუსალიმსა და კონსტანტინოპოლში აგზავნიდნენ. აქ 600 ქართველი ცხოვრობს, თუმცა მშობლიური ენა დავიწყებული აქვთ, მაგრამ იციან, რომ გურჯები არიან. მეტყველებენ არაბულად, ამუშავებენ მონასტრის მიწებს და მხოლოდ ერთ მესამედს აძლევენ შემოსავლიდან“.**

გასული საუკუნის 60-იან წლებში ა. შანიძემ, გ. წერეთელმა და ირ. აბაშიძემ მოინახულეს იერუსალიმი და აღმოაჩინეს რუსთაველის ფრესკა. ირაკლი აბაშიძე წერდა: **„აქედან 5 კმ-ზე იმყოფება საფელი მალხა, პალესტინის ომის დროს მისი მცხოვრებლები სადღაც გადასახლებულან და გაფანტულან“.**

1966 წელს იერუსალიმში გურამ პატარაია ჩავიდა ფილმის – „რუსთაველის ნაკვალევზე“ – გადასაღებად, სადაც სოფელი მალხაც არის ნახსენები: **„მთების ძირას გადის გზა, რომელიც უკვე იავარქმნილია. ტერასებზე შემორჩენილია ვაზი, ხეხილი და მათ შორის ტყემალიც კი. ქვის სახლებში ქართული სტილის ფანჯრებია, მარნით, თიხის ქვევრებით“.**

საქართველოს „ოქროს ხანაში“ ქართველი მეფეები ალბათ ყურადღებას არ აკლებდნენ მალხელ ქართველებს, ისე როგორც ქართულ ეკლესია-მონასტრებს საზღვარგარეთ.

ისტორიკოსი ა. ცაგარელი: „მეფე თამარმა, 1192 წელს სალადინს, მის მიერ დაპყრობილ ჯვრის მონასტერში 200 000 დინარი შესთავაზა და მოსთხოვა ყველა იმ ქართული წმინდა რელიკვიების დაბრუნება, რომლებიც კი მუსლიმანებმა ქართველებს წაართვეს იერუსალიმის აღების დროს...“

სახელმწიფოს ძლიერების დაკნინების შემდეგ მრავალი საზღვარგარეთული ქართული სავანე დახმარების გარეშე დარჩა. ალბათ, იგივე ბედი ეწია იერუსალიმის ქართულ სოფელსაც.

1948 წელს, ისრაელ-პალესტინის ომის დროს, მალხა ფრონტის ხაზზე აღმოჩნდა და იქაური მოსახლეობა გაიფანტა. დროთა განმავლობაში კი ეს ტერიტორია იერუსალიმის ფარგლებში მოექცა.

იერუსალიმში მალხელებს თურმე „მზის შვილებს“ უწოდებდნენ, როგორც ქართველებს. დღემდე ხომ არის შემორჩენილი ჩვენთანაც: „ჩემმა მზემ“, „შენს მზეს ვფიცავ“ და ასე შემდეგ. ისე, სიტყვა **მალხა ინგუშურად მზეს ნიშნავს** თურმე. გავიხსენოთ გურამ პატარაიას ფილმიდან — „შორია გურჯისტანამდე“ ფერეიდნელი ქართველის გულისგულიდან ამოსული სიტყვები: „რომ გავიღვიძებ, მზეს შევხედავ და ვიტყვი, ალბათ, გურჯისტანში რომელიმე ქართველი ახლა მზეს უყურებს და მეც მხედავს, თავის ძმასო“, აქაც „მზის“ გათამაშებაა ამ ნაღვლიან სიტყვებში...

მალხასთან ერთად, ცხადია, ალხოც იქნებოდა, ისე როგორც ალთა და ბალთა (ესეც სოფლებია), ალბათ, იქვე სადმე, საპირისპირო მხარეს...

ალხო-მალხო, მხოლოდ ჩიტმა გნახოსო! რამდენი სევდა და წუხილია სიტყვებში, ძალზე შორიდან, საუკუნეთა მანძილზე რომ ეალერსება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მცველთა, ანუ „მზის შვილთა“ დასახლებას.

ნოდარ პაპუაშვილი
(გაზეთი „სიღნაღი“, №10, 2 ივნისი, 2016 წელი)

ვიდრე გარდასული საუკუნეების იდუმალი გამოძახილის სევდა გამინელდება და კვლავ გადავშლი გრიგოლ ფერაძის დღიურს, წიგნი სასთუმალთან მიდევს. შევამჩნიე, რომ რამდენჯერაც დავხედავ, ჩემს თავს ვეუბნები: რა კარგია, ნამდვილი უბის წიგნაკის ფორმა რომ შეარჩიეს, რეზინის გადასაჭერით; როგორი სითბო მოდის ტაძარს მიყრდნობილი გრიგოლ ფერაძის ამ სილუეტიდან. დიზაინერების მისამართით (ბესიკ დანელია, ივანე კიკნაძე) ბევრი სხვა ქათინაურიც მემეტება, ქაღალდი, შრიფტი, მომრგვალებული კუთხეები, ყველაფერი მომწონს. და კიდევ: წიგნი უკვე დაკაბადონებული იყო, როცა ქალბატონ თამილას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკამ იმ ეპოქის ამსახველი გენიალური შავთეთრი ფოტოები გადასცა და, აბა, წიგნის გადაწყობას ვინ დაიზარებდა?!

იმდენი წვრილმანი და დეტალია წიგნში ჩაგვირისტებული, ისეთი სიყვარულით, მოწიწებითა და რუდუნებით არის მასზე ნამუშევარი, რომ სტრიქონსა და სტრიქონს შორის, ვინ იცის, იერიქონის ვარდებიც გაიფურჩქნონ.

მაინც რა არის იერიქონის ვარდები? პოეტურ ოდას ამის შესახებ გამოცემის რედაქტორის თამილა მგალობლიშვილის წინასიტყვაობაშიც წაიკითხავთ და გრიგოლ ფერაძის დღიურშიც. წიგნი მალე გამოვა მაღაზიებში, სულ მალე მისი პრეზენტაცია გაიმართება. გრიგოლ ფერაძის დღიურები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდისა და გლობალ არტის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა.

მანანა კარტოზია

ნაწყვეტი დღიურიდან:

25 აგვისტო, სამშაბათი

იერიქონიდან სამახსოვროდ დამჭკნარი ვარდების თაიგული წამოვიღე... ამ ბიბლიურ ყვავილს ერთი თვისება აქვს, რასაც სიმბოლურ მნიშვნელობას ვანიჭებ: თუნდაც სულ გამხმარს წყალში თუ ჩადებ, გაცოცხლდება და კვლავ გაიფურჩქნება...

გრიგოლ ფერაძე

განმარტება იქვე:

იერიქონის ვარდი — ასე უწოდებენ აღდგომის ყვავილსაც, ხარობს უდაბნოში, გავრცელებულია პალესტინაში, უმთავრესად იერიქონის მახლობლად. გვალვის დროს ფოთლებში ნაყოფს ფარავს და გამოშრობისგან იცავს. წვიმისას ათიოდე წუთში გაიშლება და თესლი წვიმის წვეთებს მიჰყვება.

„შემამსუბუქებელი“ გარემოებანი

როგორ შეხვდა გაზეთის კრიტიკულ გამოსვლას თბილისის მერია

შორეულ საბჭოთა ეპოქაში, რომელიც დღეს მხოლოდ „ტოტალიტარულად“, „ანტიდემოკრატიულად“, ან სულაც „დიქტატორულად“ იწოდება, არც სამინისტროებში, არც უწყებებში და არც საქალაქო ადმინისტრაციებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის არავითარი სამსახურები არ არსებობდა, მაგრამ ამის მიუხედავად, სისტემა წერილებსა და პუბლიკაციებზე სწრაფად და ზუსტად რეაგირებდა. მოქალაქეთა სიგნალებს (მით უფრო პრესაში), კრიტიკულ გამოსვლებს უმალ მოჰყვებოდა ხოლმე რეაქცია. რესპონდენტებისთვის პასუხის გაცემის წინ თემა საგულდაგულოდ შეისწავლებოდა და შემოწმდებოდა. ერთი ვინმეს გაებედა პრესის გამოსვლაზე ფორმალურად ეპასუხა ან საერთოდ მიეყურისძირებინა, ტყავს გააძრობდნენ! ზემდგომი ინსტანციები ძალიან მკაცრად სთხოვდნენ პასუხს იმათ, ვინც აგდებულად ეკიდებოდა პრესის კრიტიკულ პუბლიკაციებს.

დღეს სხვაგვარად არის საქმე. ნებისმიერ დიდ თუ პატარა ორგანიზაციას აქვს საკუთარი პრესცენტრი, ხოლო მსხვილებსა და ძლიერთ საზოგადოებასთან ან მედიასთან ურთიერთობის მთელი სამსახურები უყვავით. ოღონდ ეს კია: იმით, თუ რით არიან დაკავებული ეს სამსახურები, არავინ ინტერესდება. აქედან გამომდინარე, არავინ მათ არ ამოწმებს და არც სერიოზულად არაფერს სთხოვს. ეს ყველაფერი ახლახან ჩვენი გაზეთის ერთ პუბლიკაციაზე პასუხის კითხვისას გავისიგრძეგანეთ. ეს „პასუხი“ რედაქციაში გამოგვიგზავნა ქალბატონმა ნინო მთვარაძემ — თბილისის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილემ. რაშია საქმე?

ცოტა ხნის წინათ ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა უაღრესად კრიტიკული მასალა „ავბედითი კედლების მიღმა“. პუბლიკაცია ეხება 16 წლის ქალიშვილის დაღუპვას ყოფილი საბურთალოს ბაზრის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი 17-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის კედელთან. აი უკვე 8-9 წელიწადია, ამ კორპუსის მშენებლობა შეჩერებულია ეკონომიკური კრიზისის გამო. სამშენებლო მოედანი უცხო თვალისთვის ღობით არის გამიჯნული.

ადგილობრივ მცხოვრებლებში ეს ადგილი ცუდი რეპუტაციით სარგებლობს. მიტოვებული ტერიტორია დანაგვიანებულა. ბევრი ამ ადგილს ტუალეტად იყენებს. ამოთხრილი და მიტოვებული სასაძირკვლე ორმო წყლით არის სავსე — წარმოიქმნა ბინძური, მყრალი ჭაობი, რომელიც კოღოს ბუდეა. ყოფილი მშენებლობის ტერიტორია „აითვისეს“ ადგილობრივმა ბიჭუნებმა. იქ თამაშობენ, დაძრვებიან სართულებზე, ყოველ წუთს შეიძლება ფეხი ან კისერი მოიტეხონ.

სტატიაში ნათქვამი იყო, რომ ამხანაგობა „35-1“-მა (თავმჯდომარე მარიკა ბადაგაძე), რომელიც აერთიანებს შარტავას ქუჩის №45 „ა“-ს მცხოვრებლებს, არაერთგზის მიმართა დედაქალაქის მერიას, პირადად ბატონ დავით ნარმანიას დახმარების თხოვნით. მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ.

ყურადღებას განსაკუთრებით ვამახვილებდით იმაზე, რომ წამოწეული საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ „35-1“ ამხანაგობისათვის, არამედ თბილისის ტერიტორიაზე არსებული ბევრი დაწყებული, მაგრამ დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტისთვის. უმრავლეს შემთხვევაში, ყველგან ერთნაირი ვითარებაა. თუნდაც შარტავას ქუჩაზე, ლამის ბატონ ნარმანიას რეზიდენციის ცხვირწინ რამდენიმე ასეთი სახლია. რა ვქნათ? გაზეთი წერდა: „ალბათ, საჭიროა ობიექტების დაცვის ორგანიზება, ამ ტერიტორიებზე უცხო პირთა შესვლის აკრძალვა“. ყურადღებას ვამახვილებდით იმ ადამიანების ხვედრზე, რომლებმაც ფული შეიტანეს ბინების ასაშენებლად, მაგრამ მათ მიღებას ვერ ეღირსნენ.

მიტოვებული მშენებლობები კარგა ხანია გადაიქცნენ არა მხოლოდ ანტისანიტარიის ბუდეებად, არამედ სამართალდარღვევათა ჩადენის ადგილებად. ვინ შეიძლება წინ აღუდგეს დამნაშავეებს, რომლებმაც განიზრახეს შეათრიონ (ან შეიტყუონ) ამ ტერიტორიაზე ვინმე და გაუსწორდნენ? — კითხულობდა გაზეთი, — არსებობს თუ არა რაიმე ოფიციალური სტრუქტურა, რომელიც გითვალისწინებს ასეთ ვითარებას და თავიდან აიცილებს მას? ერთი სიტყვით, კითხვაც და პრობლემაც ბევრია. არ შეიძლება, არ დავეინტერესებინეთ, თუ რას ფიქრობს ამ საკითხზე თბილისის მერია. და აი, ჩვენს წინაშეა პასუხი, რომელსაც ხელს აწერს ქალბატონი ნინო მთვარაძე. (ვაქვეყნებთ სრულად):

„მოგესალმებით, მიმდინარე წლის დეკემბერში შემოვიდა თქვენი წერილი დაუმთავრებელ მშენებლობასთან დაკავშირებით. თბილისის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურმა განიხილა თქვენი წერილი და პასუხად გაცნობებთ:

აღნიშნული მშენებლობის საკითხი განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელმა კომისიამ. აღსანიშნავია, რომ ამხანაგობას გადასახდელი აქვს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებელი. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამშენებლო ობიექტის ერთ ბლოკზე მშენებლობის ნებართვას ვადა აქვს გასული, რომლის გაგრძელებასაც ვერ ახერხებს. გარდა ამისა, სამშენებლო ობიექტის დაუსრულებლობის მიზეზად ამხანაგობა ასახელებს 2008 წლის აგვისტოში განვითარებულ მოვლენებს და მის თანმდევ ფინანსურ კრიზისს, რომლის შედეგადაც, დღეის მდგომარეობით, ამხანაგობას აქვს კერძო ბანკის დავალიანება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელმა კომისიამ დაავალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხის შესწავლა, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი ამ დროისთვის შესწავლის პროცესშია.“

პატივისცემით,
ნინო მთვარაძე
თბილისის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილე.

რა გითხრათ?

ძვირფასო მკითხველო, თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ გადახედეთ ჩვენს პუბლიკაციაში წამოჭრილი თემებსა და საკითხებს და შეუდარეთ რედაქციაში გამოგზავნილ დედაქალაქის მერიის პასუხს.

ქალბატონ მთვარაძის წერილი რაიმე განსაკუთრებულ კომენტარებს არ საჭიროებს. ის ფორმალობის, თანაც ერთობ უხეში ფორმალობის ნიმუშია. ის დაცინვაა, მაგრამ ვისი? მკითხველის, გაზეთის თუ საკუთარი თავის? მერიის ოფიციალური თანამდებობის პირი ჩვენს პუბლიკაციაში აღძრულ არც ერთ პრობლემაზე არ უპასუხებს, არც ერთზე!

შეიძლება, ქალბატონ მთვარაძეს, როცა რედაქციაში გადასაგზავნ „პასუხს“ ადგენდა, საერთოდ არ ჰქონდა წაკითხული ჩვენი სტატია. შეიძლება, მან უბრალოდ ხელი ასე მოაწერა ვიღაცის მიერ შედგენილ „პასუხს“, რომ თავიც კი არ შეუწუხებია მის გასაცნობად.

არ გამოვრიცხავთ წმინდა წყლის საყოფაცხოვრებო ხასიათის ხელისშემშლელ ვითარებასაც: შეიძლება იმ მომენტში, როცა ქალბატონი მთვარაძე თავისი ეპისტოლეს შედგენას ჩაუღრმავდა, მერიაში მოულოდნელად სინათლე ჩაქრა და სიბნელემ დაისადგურა. სიბნელეში კი, თვითონვე ხვდებით, ათასი რამ შეიძლება ქაღალდის ფურცელზე დაგვეწეროს.

აი,ასეთ „შემამსუბუქებელ“ ვითარებებს ვუშვებთ. საინტერესოა, ყველაფერ ამაზე რას ფიქრობს დედაქალაქის მერი, ბატონი დავით ნარმანია?

ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

მაღალმთიანი აჭარა ტურისტებს ვერ აუდის

2016 წელს მაღალმთიან აჭარაში ვიზიტორებისა და ტურისტების რაოდენობა გაიზარდა. პოპულარულ მარშრუტებზე ვიზიტორების რიცხვი 2015 წელთან შედარებით 107%-ით გაიზარდა, რაც 5513 ვიზიტს გულისხმობს. წლის განმავლობაში მაჭახელას, ხიხანისა და ქედის ტურისტული მარშრუტები ვიზიტორებსა და ტურისტებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა, რაც აისახა საოჯახო-სასტუმრო სახლებში ვიზიტორების რაოდენობაზეც.

+99% ვიზიტორების რაოდენობა ქედაში;

+113% ვიზიტორების რაოდენობა ხიხაძირში;

+244% ვიზიტორების რაოდენობა მაჭახელაში.



აღნიშნულ მარშრუტებზე ასევე გაიზარდა საოჯახო-სასტუმრო სახლების რაოდენობაც. 2016 წელს ტურისტებსა და ვიზიტორებს 20-ზე მეტი სახლი ემსახურებოდა, რაც 33%-ით მეტია, 2015 წელთან შედარებით.

ვიზიტორების რაოდენობა 52%-ით გაიზარდა მაღალმთიან აჭარაში არსებულ მუზეუმებშიც. ჩხუტუნეთის, ქედისა და სელიმ ხიმშიაშვილის მუზეუმებს წლის განმავლობაში 13 628 ვიზიტორი სტუმრობდა. საოჯახო-სასტუმრო სახლებსა და მუზეუმებში გაზრდილი ვიზიტორების რაოდენობა დადებითად აისახა კვების ობიექტებზეც.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ არსებული სტატისტიკური მონაცემები საოჯახო-სასტუმრო სახლების, მუზეუმებისა და კვების ობიექტების მეპატრონეების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოამზადა. საგენტო მაღალმთიან აჭარაში ტურისტული პროდუქტების განვითარების მიმართულებით 2015 წლის ბოლოდან მუშაობს.

სააკაშვილის წყალობით საქართველო რუსეთთან კონფლიქტში ღიად ჩაება, რაც თბილისს 800 დაღუპულად დაუჯდა

ავსტრიული გამოცემა „Tiroler Tageszeitung“-ი, საქართველოსთან დაკავშირებით, მიმომხილველ ქრისტიან იენჩის სტატიას აქვეყნებს, რომლის ქართულენოვან ვერსიას მცირეოდენი შემოკლებით, საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

საქართველოში თანდათან ქრება ოცნება, რომ ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდება. ევროკავშირის „მისაღებში“ მყოფ საქართველოს რუსეთი პრეტენზიებს უყენებს. ამასთან, საქართველო ცდილობს, რუსეთთან ორმხრივი ზომიერი პოლიტიკა გაატაროს, რომ უკრაინის ბედი თავიდან აიცილოს. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი სებასტიან კურცის ვიზიტიც ეუთოს თავმჯდომარის რანგში ამ პრობლემებს ეხებოდა.

ქვეყანამ, რომელსაც ეკონომიკური განვითარებისათვის ნამდვილად აქვს პოტენციალი, ჯერჯერობით რუსეთისაგან ჩამოშორება ვერ შეძლო. ამის მიზეზი უპირველესად ისაა, რომ საქართველო ვერ აკონტროლებს თავის ორ რეგიონს — აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, რომლებსაც რუსეთი უჭერს მხარს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია.

ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გატარებული პოლიტიკის წყალობით, საქართველო 2008 წელს სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ღიად ჩაება რუსეთთან კონფლიქტში, რაც თბილისს 800 დაღუპულად დაუჯდა. ახალი ხელისუფლების დროს მიხეილ სააკაშვილი ქვეყნიდან წავიდა და მოგვიანებით უკრაინაში დაიწყო მუშაობა. გასული წლის ოქტომბერში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად „ქართულმა ოცნებამ“, რომლის ლიდერი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილია, საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობა მოიპოვა. ამის მიუხედავად, ე.წ „გაყინული კონფლიქტები“ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოგვარებისაგან ჯერ კიდევ შორს არის. მართალია, მოსკოვ-თბილისის დამოკიდებულება ძველებურად მკვეთრად დაძაბული არაა და მეტ-ნაკლებად შერბილდა, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობა კვლავ გაწყვეტილია.

რაც შეეხება ერთი მხრივ, საქართველოსა და რუსეთის, მეორე მხრივ კი საქართველო-ევროპის ურთიერთობას, ამ შემთხვევაში ალტერნატივა არ არსებობს — „საკითხი არ დგას ისე, რომ ან რუსეთი და ან ევროპა... უკეთესი იქნება, რომ ორივე იყოს“. ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა არ უნდა იყოს ხელშემშლელი და დაბრკოლება საქართველო-რუსეთის ისტორიული ურთიერთობისათვის. საქართველო ეკონომიკა სწორი მიმართულებით ვითარდება და მას ევროკავშირის დახმარების იმედი უნდა ჰქონდეს, თუმცა არ უნდა იქნეს დაშვებული ისეთი შეცდომა, რომელიც „ქვეყანას კუთხეში მიაყენებს“.

რაც შეეხება ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას, საქართველო, შეიძლება ითქვას, სანიმუშო მოწაფეა ბევრ სფეროში... სწორედ ამიტომაც ევროპარლამენტმა, ხმების დიდი უმრავლესობით, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზებას მწვანე შუქი აუნთო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან მიხეილ ჯანელიძესთან შეხვედრის დროს სებასტიან კურცი ორმხრივი ურთიერთობის საკითხებსაც შეეხო. საქართველო-ავსტრიის კავშირებში დიდი პოტენციალია, რომლის გამოყენება აუცილებელია. ამავე დროს, სებასტიან კურცმა ხაზი გაუსვა, რომ ევროპა და რუსეთი, საქართველოს პერსპექტივასთან დაკავშირებით, ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპირდნენ.

სამხრეთ ოსეთი, სადაც რუსული სამხედრო ბაზაა დისლოცირებული, საქართველოსგან 350-კილომეტრიანი ხაზითაა გამიჯნული — ე.წ. „საზღვარი“, რომელიც მავთულხლართის სახით არსებობს, ჰყოფს მინდვრებს, ბაღ-ბოსტნებს და საცხოვრებელი სახლების ეზოებსაც კი... კონფლიქტის ზონაში ევროკავშირის 300 დამკვირვებელი იმყოფება, მათ შორის, ავსტრიელებიც.

„Tiroler Tageszeitung“ (ავსტრია)

ფრთხილი ოპტიმიზმი აშშ-საქართველოს მომავალ ურთიერთობაში: ამერიკელი ექსპერტების პროგნოზები

ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებში ამ ეტაპზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ის არის, თუ როგორ გაგრძელდება ეს ურთიერთობა, რამდენად შენარჩუნდება დღემდე არსებული მხარდაჭერა და როგორ უნდა დაანახოს თბილისმა ვაშინგტონს საკუთარი მნიშვნელობა.

ამერიკის ხუთგზის ელჩი (მათ შორის, გაეროში და რუსეთის ფედერაციაში) თომას პიკერინგი აცხადებს, რომ ახლო ურთიერთობის შენარჩუნებაზე ორივე მხარემ უნდა იზრუნოს. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციისთვის მისი რჩევა წარსული პოლიტიკის გადახედვაა.

„ჯორჯ ბუშსა და ბარაკ ობამას შორის საქართველოზე გარკვეული განგრძობითობა გვქონდა. როცა დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია საქართველოს საკითხს განიხილავს — და ეს თემა არ იქნება პრიორიტეტული პოლიტიკის სიაში — უნდა გადახედონ წარსულს და შეაფასონ, რატომ გატარდა ესა თუ ის პოლიტიკა, რა შედეგს მივაღწიეთ, რას ვერა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტონ, რა არის შესაცვლელი“, — განაცხადა კარიერულმა დიპლომატმა „ამერიკის ხმასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

თომას პიკერინგი ამბობს, რომ ამერიკა საქართველოს ახლო ურთიერთობის გაგრძელებას იმედიანად უყურებს, რადგან ორ ქვეყანას ბევრი საერთო ღირებულება და ინტერესი აქვს. თუმცა, იგი დასძენს, რომ **„ქართველებმა უნდა განუმარტონ ადმინისტრაციას, თუ რა მიაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად ამ ურთიერთობაში, რამდენად ახლოსაა საქართველო ამერიკასთან და რატომ“.**

თომას პიკერინგის თქმით, **„ახალმა ადმინისტრაციამ პირდაპირ უნდა მოისმინოს საქართველოს მთავრობის პოზიცია“, რადგან „საბედნიეროდ, საქართველო არ არის ქვეყანა, სადაც ტრადიციული კავკასიური ტიპის პრობლემები გვაქვს. სხვებისგან განსხვავებით, საქართველო პრობლემების გადაჭრას და მოგვარებას ცდილობს“.**

ექსპერტები თანხმდებიან, რომ საქართველოს კონგრესში ბევრი მეგობარი ჰყავს და კონგრესთან აქტიურ ურთიერთობას თბილისისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

„თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ იქნება და დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ საქართველოს წარმატების და სამომავლო გეგმების შესახებაც უნდა გაიგოს“, — ამბობს უილიამ კორტნი, ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში. **„საქართველოს მთავარი გზავნილი მტკიცე ეკონომიკური რეფორმები უნდა იყოს, რომ ყველამ დაინახოს, რომ ნატოს უსაფრთხოებაში თბილისს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეეძლება“,** — აცხადებს იგი. ყოფილი ელჩი ეკონომიკურ განვითარებას საქართველოს სხვა გრძელვადიან მიზნებსაც უკავშირებს. მას მიაჩნია, რომ **„დღეს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მთავარი პრობლემა არა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციაა, არამედ ის, რომ საქართველო ეკონომიკურად ძლიერი არ არის. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან საქართველოს გზავნილი ეკონომიკურად გაძლიერების პირობა უნდა იყოს“.**

ამერიკა-საქართველოს ურთიერთობაზე ვაშინგტონ-მოსკოვის ურთიერთობას, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება. ჯერ ნაადრევია იმაზე საუბარი, თუ რა პრიორიტეტები ექნება პრეზიდენტ დონალდ ტრამპს რუსეთთან. ანალიტიკოსების ნაწილს მიაჩნია, რომ ამერიკა რუსეთის ე.წ. „გავლენის სფეროს“ არ აღიარებს და ამით საკუთარ პრინციპებს არ გადაუხვევს.

თომას პიკერინგს მიაჩნია, რომ რუსეთი არის სახელმწიფო, რომლის პოზიცია და მიზნები ამერიკის ადმინისტრაციამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, მაგრამ ამასთან ერთად, ვაშინგტონმა რუსეთთან ურთიერთობაში საკუთარი პოზიცია მყარად უნდა დაიფიქსიროს.

ექსპერტებს უჭირთ პროგნოზების გაკეთება იმასთან დაკავშირებით, თუ რა იქნება პრეზიდენტ დონალდ ტრამპის საბოლოო პოზიცია ევრაზიის რეგიონთან მიმართებაში. ამ ეტაპზე, მათი ნაწილი საქართველოსთვის საფრთხეს ვერ ხედავს.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს იური ოსადჩევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** იური ოსადჩევი (პ/ნ 01017032205), თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №46.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №46, სართული პირველი (საკადასტრო კოდი: 01.15.04.015.003.01.521).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 45721.82 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 7 თებერვალი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 21 თებერვალი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP40281016;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 402810

6. **მოვალე:** ანდრო ოსადჩევი (პ/ნ 01002005808), თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №46, ბინა №17.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP40281016; ლოტის ნომერი: 402810).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 20 თებერვლის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

კიევი დონბასში დაღუპულთა რაოდენობას ასახელებს

დონბასში სამხედრო მოქმედებების დაწყებიდან დღემდე 10 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზორიან შკირიაკმა განაცხადა. მისივე თქმით, დაღუპულთაგან 3 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე იყო. სროლის ხმა დონბასში ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა, თუმცა როგორც უკრაინული მხარე აცხადებს, ვითარება ავდეევკაში შედარებით დასტაბილურდა. ქალაქის რამდენიმე რაიონს ელექტროენერგიის მიწოდება უკვე აღუდგა.

ბრიტანეთის სამეფო ოჯახი საქველმოქმედო ღონისძიებაში ჩაერთო

ბრიტანეთის სამეფო ოჯახი საქველმოქმედო მარათონში ჩაერთო. ასპარეზობაში მონაწილეობმა უილიამმა, ჰარიმ და ქეითმა მიიღეს. ისინი 150 მორბენალს შეუერთდნენ, რომლებიც დედოფალ ელიზაბეტის ოლიმპიურ პარკში შეიკრიბნენ. მარათონი სოციალურ კამპანია „ჰედს თუგეზერის“ ფარგლებში ჩატარდა, რომელიც ფსიქიკური დაავადებების სტიგმატიზაციას უკვე წლებია, ცდილობს.

ელიზაბეტ მეორის ცნობილი ფოტო კიდევ ერთხელ გამოქვეყნდა

ცნობილი ბრიტანელი ფოტოგრაფის, დევიდ ბეილის ფოტოპროექტი, რომელიც მან ელიზაბეტ მეორის ტახტზე ასვლის 65-ე წლისთავს მიუძღვნა, განმეორებით გამოქვეყნდა. 2014 წელს გადაღებულ ფოტოზე დედოფალს საფირონის მორთულობა ამშვენებს. ძვირფასეულობა მას მამამ, გეორგ მეექვსემ 1947 წელს ქორწილზე აჩუქა.

გახლეჩილობის მძიმე ჟამი

რა შანსი აქვს უგულავა-ბაქრაძე-ბოკერიას პარტიას?

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაშლა-გაყოფის შემდეგ, ორივე განაყოფმა განაცხადა, რომ ემზადება ახალი საარჩევნო ციკლისთვის. ეს ციკლი უკვე წელს იწყება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით. თუმცა, მიდგომებს შორის უკვე სერიოზული სხვაობაა, რაც უამრავ ნიუანსში მჟღავნდება.

მაგალითად, ენმ-ის ახალი „მცირე ლიდერი“, ნიკა მელია აცხადებს, რომ აზრადაც არ მოსვლიათ მომავალი არჩევნების ბოიკოტი, თუმცა კიევში მყოფმა „დიდმა ლიდერმა“ ბევრჯერ განაცხადა: „ივანიშვილმა გააუქმა არჩევნები საქართველოში“ და „ნურავის ექნება იმედი, თითქოს შესაძლებელია ივანიშვილის ხელისუფლების არჩევნებით შეცვლაო“.

ოღონდ, სააკაშვილს ის კი არ უთქვამს, არც ერთხელ „არჩევნებში მონაწილეობას აზრი არა აქვსო“. როგორ არა აქვს –იმ მხრივ, რომ ქმნის შესაძლებლობას, შედეგი „გაყალბებულად“ გამოაცხადო და რევოლუცია მოაწყო „ხალხის ნების ფალსიფიცირების“ საბაბით, როგორც 2003 წელს. თუ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებ, მაშინ ეს საბაბიც არ გექნება.

ამ აზრით, ოღონდ მხოლოდ ამ აზრით აქვს აზრი მიხეილ სააკაშვილისთვის არჩევნებში მონაწილეობას. სხვა საქმეა, გამოვა თუ არა ეს ახალი რევოლუცია, – როდის და როგორ.

„ენმ“-იდან წამოსულებს კი სულ სხვა შეხედულება აქვთ. მათ შესანიშნავად იციან, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ენმ“ ნამდვილად დამარცხდა, ხოლო „ადმინისტრაციული რესურსი“ და „მიშას მრისხანე დაბრუნებით“ ამომრჩევლების დაშინება, რასაც ხელისუფლება აქტიურად მიმართავდა, მაინც არ არის იგივე, რაც „არჩევნების შედეგთა ფალსიფიცირება“. ამიტომ, ისინი აპირებენ, მოიგონ არჩევნები მომხრეთა მოზიდვით და პოზიტიური პროგრამის შეთავაზებით. სააკაშვილისაგან განსხვავებით სჯერათ, რომ ეს შესაძლებელია. მით უმეტეს მიშას გარეშე, ვინც უკვე „პოლიტიკურ ლანდად“ და წარსულად მიაჩნიათ.

* * *

ახალმა პარტიამ დაირქვა „მოძრაობა თავისუფლებისთვის – ევროპული საქართველო“. მის ლიდერებს „პროევროპულობა“ ესმით უფრო როგორც ღირებულებითი და არა მხოლოდ (არა იმდენად) ინტეგრაციული ორიენტაცია. ანუ, განსხვავებით იმავე სააკაშვილისგან, „მოძრაობა თავისუფლებისთვის“ ცდილობს, თავი წარმოაჩინოს ისეთ პოლიტიკურ ძალად, რომელიც ქვეყანაში ნამდვილ, პლურალისტურ, ლიბერალურ დემოკრატიას დაამყარებს და არა ავტორიტარულ რეჟიმს – თუნდაც ევროატლანტიკურ სივრცეში სწრაფი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ფუნდამენტური უთანხმოება, რამაც „ენმ“-ს გახლეჩა გამოიწვია. ხოლო ამ სხვაობის ნათელი ილუსტრაცია გახდება პარტიული ყრილობებისადმი დამოკიდებულება.

გავიხსენოთ „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა, რომელიც „სპორტის სასახლეში“ ჩატარდა: მანამდე, სააკაშვილის მომხრეები „განდგომილებს“ ბრალად სდებდნენ, რომ მათ პარტიის მართვის „კაბინეტური სტილი“ მოიმარჯვეს, ხოლო „პარტიულ მასებს“ არაფერს ეკითხებოდნენ. არადა, თავად ისეთი ყრილობა ჩაატარეს, ლეონიდ ბრეჟნევის დროს მოგაგონებდა: არავითარი დისკუსია, არავითარი პოლიტსაბჭოს კონკურენტული არჩევნები: „ვინ არის მომხრე, ასწიეთ მანდატები . . . .ყველა! ვინ წინააღმდეგი – არავინ! ვინ შეიკავა თავი? – არავინ.“

და ესენი ადანაშაულებდნენ ვინმეს არადემოკრატიულ „კაბინეტურ სტილში?“

სპორტის სასახლიდან გამოსული ბევრი რიგითი წევრი ამით უკმაყოფილო იყო, მაგრამ მედიამ ეს მომენტი „რატომღაც“ არ გააშუქა. არადა, მართლა მეტისმეტად თვალშისაცემი ილუსტრაციაა „გაყოფის“ დროინდელი დემაგოგიისა: ყბადაღებული „კაბინეტური მართვა“ აბა სხვა რა არის, თუ არა „ბრეჟნევის სტილის“ ყრილობა და იმავე სტილში, „კაბინეტებში“ წინასწარ დაწერილი სიის ერთსულოვნად დამტკიცება?

* * *

ამის საპირისპიროდ, ყოფილი ნაციონალები აუცილებლად შეეცდებიან, იმგვარი ყრილობა ჩაატარონ, არაფრით რომ არ ემგვანება სპორტის სასახლეში გამართულ მიტინგს: დისკუსიით და პოლიტსაბჭოს წევრთა, ასევე პარტიის თავმჯდომარის ალტერნატიული, კონკურენტული არჩევნებით.

ამაზე მიშა პირდაპირ არ იტყვის არასდროს, მაგრამ მუდამ გულისხმობდა და გულისხმობს: „გინდათ, „რესპუბლიკელებს“ დაემსგავსოთ? – იქაც ძალიან „მაგარი“ შიდაპარტიული დემოკრატია იყო, თავმჯდომარეებიც იცვლებოდნენ დემოკრატიული შიდაპარტიული არჩევნების შედეგად და... რა – ამით მერე?“

სააკაშვილი ამას ღიად არასდროს განაცხადებს, თუმცა მუდამ გულისხმობს, რაკი მიაჩნია, რომ „ქართველი მასა“ ჯერ არ არის იმდენად ცივილიზებული, პატივი სცეს ნამდვილად ევროპული ყაიდის პარტიას. ამიტომ, მიშას აზრით, პარტიას კვლავ ხალხისთვის „გასაგები“ და „ცნობადი“ ლიდერი უნდა ჰყავდეს, თორემ ისევე დაამთავრებს, როგორც „ევროპული ყაიდის“ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ დაამთავრა.

ანუ, სამარცხვინოდ.

რომელი შეხედულება უფრო სწორი და პერსპექტიულია, მომავალი გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, ეს უთანხმოება ნამდვილად დაიყვანება მარტივ დილემამდე: „რევოლუციით თუ რევოლუციის გარეშე?“

მიშა სააკაშვილი ძალიან ოსტატურად ცდილობდა აქ ცნებათა აღრევას: სინამდვილეში, ის თვითონ რომ ველარასოდეს დაბრუნდება ხელისუფლებაში არჩევნებით (ესე იგი რევოლუციის გარეშე) არ ნიშნავს და არ არის იგივე, რომ ოპოზიციურ პარტიას არა აქვს და აღარასოდეს ექნება შანსი, მოვიდეს ხელისუფლებაში დემოკრატიული გზით.

* * *

ახალი პარტიის პრეზენტაციაზე სამი ლიდერი გამოიკვეთა: გიგი უგულავა, დათო ბაქრაძე და გიგა ბოკერია. პარტიის თავმჯდომარედ დათო ბაქრაძე მოიაზრება, მაგრამ დავაკვირდეთ მნიშვნელოვან ნიუანსს: „ევროპული საქართველოს“ სპიკერებს არც ერთხელ არ უთქვამთ, რომ სწორედ პარტიის თავმჯდომარე იქნება მათი საპრემიერო კანდიდატი და არა გიგი უგულავა.

მიზეზი გასაგებია: ბაქრაძის პიროვნული რეიტინგი არ ნიშნავს, რომ რეალური არჩევნებისას ამომრჩეველი მას არჩევს სხვას. სინამდვილეში, ამომრჩეველი საარჩევნო ყუთთან მოქმედებს „პოლიტიკური და გარემოებითი კონტექსტის“ გათვალისწინებით. ამის კლასიკური მაგალითია ის, რაც დაემართა (მართლა „დაემართა“!) დათო უსუფაშვილს ბოლო არჩევნებზე: ძალიან დიდი პიროვნული რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ პერსონალური ნდობის მაღალმა დონემ ვერ უშველა და სამარცხვინოდ დამარცხდა იმ ფიგურებთან, ვინც იმ რეიტინგში საერთოდ არ ჩანდნენ. რატომ? იმიტომ, რომ ამომრჩეველი (ვიმეორებ) სხვადასხვა სიტუაციასა და „გარემოებით კონტექსტში“ სხვადასხვა მოტივაციით მოქმედებს.

აქედან გამომდინარე, მრავალი პარამეტრის გათვალისწინებით, გიგი უგულავა, როგორც სახელისუფლებო კანდიდატი, პარტიისთვის უფრო პერსპექტიულია, ვიდრე დათო ბაქრაძე. ხოლო ბაქრაძის ნომინირებისას, მას, შეესაძლოა, იგივე დაემართოს, რაც დაემართა დათო უსუფაშვილს.

„ენმ“-ის ყოფილ ელიტას, რომელიც გამოცდილი პოლიტ-ტექნოლოგებისგან შედგება, ეს გარემოება კარგად ესმის. თუმცა, თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობას გიგი უგულავა არ აპირებს. მისი თქმით „მაშინ ეს იქნება კამპანია წარსულზე, ჩვენ კი გვინდა, იყოს საარჩევნო კამპანია მომავალზე“.

იხ. 11 გვ.

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით, იჯარით გადაცემის შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს უპირობო საჯარო აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი წლიური (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	46 734	53.11.31.062	1080	324	25	30

2. დაუშვებელია იჯარით აღებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის თანხმობის გარეშე.

3. იჯარის ვადა განისაზღვროს 15 წლით.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე სარგებლობის უფლებით აღებული ქონების წლიური საიჯარო ქირა გადაიხადოს ყოველი კალენდარული წლის 31 დეკემბრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, გამარჯვებულს არ მიეცემა სარგებლობის უფლება, „ბე“-ს თანხა არ დაუბრუნდება და სხვა ხარჯები არ აუნაზღაურდება.

5. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე“–ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე“–ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

6. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

7. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების სარგებლობის უფლებით ასაღებად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

8. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2017 წლის 06 თებერვლიდან 2017 წლის 07 მარტამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 07 მარტს დღის 14:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

9. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

◎ ჩოგბურთი

საქართველო ლიტვას შეხვდება

საქართველოსა **და ფინეთს შორის დევისის თასის ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფის დაპირისპირება ოლიმპიურ სასახლეში გაიმართა.**

3-დღიანი დუელის შემდეგ გამარჯვება საქართველოს ნაკრებს დარჩა. გიორგი ცივაძისა და ნიკოლოზ ბასილაშვილის დამსახურებით საქართველომ ფინეთს ანგარიშით 3:2 სძლია.

მესამე სათამაშო დღის მეორე, დასკვნით პაექრობაში გიორგი ცივაძე პატრიკ ნიკლას სალმინენს დაუპირისპირდა და დაძაბულ ორთაბრძოლაში 5 სეტში 6:3; 7:5; 5:7; 0:6; 7:6 დაამარცხა. ყველაზე დაძაბული მეორე(7:5) და მეხუთე სეტები(7:6) გამოდგა, სადაც ცივაძემ თამაში შემოატრიალა და ფინელ მეტოქეს აჯობა.

დევისის თასის ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფის მეორე ტურის შეხვედრების პირველ საშეჯიბრო დღეს ნიკოლოზ ბასილაშვილმა ეერო ვასას მოუგო, ხოლო გიორგი ცივაძე ჰარი ჰელიოვაარასთან დამარცხდა. წყვილთა თანრიგში ნიკოლოზ ბასილაშვილისა და გიორგი ცივაძის წყვილმა ჰარი ჰელიოვაარასა და ემილ რუუსუვუორთან წააგო, მესამე დღის პირველ შეხვედრაში კი საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ემილ რუუსუვუორს 3 სეტში 6:2; 6:4; 6:4 სძლია.

მორიგ ეტაპზე, რომელსაც მიმდინარე წლის 7-9 აპრილს თბილისი უმასპინძლებს, საქართველოს ნაკრები ლიტვის ნაკრებს შეხვდება, რომელმაც ამ ეტაპზე მადაგასკარის გუნდი დაამარცხა.

კობა კობახიძე

◎ კურიოზი

კანადელმა ჩოგბურთელმა მსაჯს თვალში ბურთი გაარტყა

დევისის თასზე კანადის ნაკრებს ბრიტანეთთან დაპირისპირებაში ტექნიკური წაგება ჩაეთვალა. ამის მიზეზი ბრიტანელი კაილ ედმუნდის და კანადელი დენის შაპოვალოვის მატჩში მომხდარი ინციდენტი გახდა – ანგარიშზე 6:3, 6:4, 2:1 ბრიტანელის სასარგებლოდ კანადელს ბოლო აუტში გაშვებულ ბურთზე ნერვებმა უმტყუნა, ჯიბიდან ბურთი ამოიღო და უმისამართოდ გაგზავნა, რომელიც საბოლოოდ მატჩის მთავარ მსაჯს თვალში მოხვდა. მატჩი შეწყდა და კანადა ტექნიკური მარცხით დაისაჯა.

ბადრი იაშვილი



◎ საფეხბურთო მოზაიკა

კრისტიან ბასგოგი - აფრიკის თასის საუკეთესო ფეხბურთელი

აფრიკის 2017 წლის თასის გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელად ჩემპიონ კამერუნის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი კრისტიან ბასგოგი დასახელდა. 21 წლის მოთამაშეს საუკეთესოს წოდება აფრიკის ფეხბურთის ასოციაციამ მიანიჭა.

ბასგოგმა კვირას დასრულებულ აფრიკის თასზე ექვსი შეხვედრა ჩაატარა (აქედან ოთხი შეუცვლელად) და ერთი გოლი გაიტანა. კამერუნელი ფეხბურთელი ამჟამად დანიის სუპერლიგაში, კერძოდ, „ოლბორგში“ ირჯება.

იკერმა ანდონის რეკორდი დაამხო

ლეგენდარული **იკერ კასილიასი ესპანური ფეხბურთის რეკორდსმენია – 35 წლის იკერმა ანდონი სუბისარეტას რეკორდი დაამხო და ესპანელ მეკარეებს შორის ყველაზე მეტი მატჩი აქვს კარიერაში გამართული – 960.**

კასილიასმა ამ მაჩვენებელს პორტუგალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „სპორტინგთან“ შეხვედრაში უწია (2:1). „რეალში“ მან 725 თამაში ჩაატარა, ესპანეთის ნაკრებში – 167, ხოლო „პორტუში“ – 68. ხსენებულ მატჩებში კასილიასმა 898 გოლი გაუშვა.

აქვე გეტყვით, რომ ანდონი სუბისარეტას 959 შეხვედრაში 906 გოლი აქვს გაშვებული.

რანიერის და „ლესტერის“ ორი მხარე: იტალიელს კარისკენ მიუთითებენ?

როგორც ჩანს, გმირობიდან განტევების ვაცამდე არცთუ ისე დიდი მანძილია – საქმე ისაა, რომ კლაუდიო რანიერი შესაძლოა უმუშევარი დარჩეს. ინგლისური მედიის ინფორმაციით, „ლესტერ სიტის“ ხელმძღვანელობა გამოცდილი იტალიელის მუშაობით უკმაყოფილოა და მის გათავისუფლებაზე ფიქრობს.

„მელიების“ საქმე პრემიერლიგაში მართლაც საგანგაშოდაა – ბოლო ხუთ ტურში გუნდს გოლიც არ გაუტანია, ხოლო უკანასკნელი ოთხი თამაში მიყოლებით წააგო. ინგლისის მოქმედი ჩემპიონი გასავარდნ ზონას ორი საფეხურით და ერთადერთი ქულით უსწრებს.

არადა, ჯერ კიდევ გასული წლის მაისში კლაუდიო რანიერი „ლესტერის“ გმირი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, თავისი რესურსი მან ამ პატარა გუნდში სწორედ გასულ გაზაფხულზე ამოწურა.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

სუპერ გიორგი შერმადინი - 25 წუთი, 25 ქულა!

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის XX ტურში მორიგი დიდებული შეხვედრა ჩაატარა გიორგი შერმადინმა. „მორაბანკ ანდორასა“ და საქართველოს ნაკრების ცენტრმა „სასკი ბასკონიას“ 25 ქულა ჩაუგდო. ამისათვის გიორგის სულ რაღაც 25 წუთი დასჭირდა. გარდა ამისა, მან საკუთარ გუნდს 8 მოხსნა შესძინა. როგორც ხედავთ, ორმაგ დუბლამდე შერმადინს ორადორი მოხსნა დააკლდა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 31-ს გაუტოლდა, რაც შეხვედრაში საუკეთესო მაჩვენებელი გამოდგა. გიორგიმ 12-დან 8 ორქულიანი ისროლა ზუსტად, საჯარიმოებში კი 100%-იანი მაჩვენებელი დააფიქსირა: ცხრიდან ცხრა.

ქართველი ცენტრის გადასარევი თამაშის მიუხედავად „ანდორამ“ საკუთარ კედლებში დასანანი მარცხი იწვნია თორნიკე შენგელიას „ბასკონიასთან“ – 82:91.

შენგელიას, მოგეხსენებათ, ტრავმა აქვს და არ უთამაშია. სამაგიეროდ, „ანდორას“ შემადგენლობაში ითამაშა ბექა ბურჯანაძემ – ჩვენებურმა პარკეტზე 22 წუთი გაატარა და აღნიშნულ დროში 11 ქულა და 6 მოხსნა დააგროვა. ბექამ 5-დან ერთი ორქულიანი ჩააგდო, ხოლო გაცილებით უკეთ ისროლა სამქულიანები – 3/5, საჯარიმო ხაზზე კი იგი არ დამდგარა.

ლიგა ენდესაში 20 ტურის შემდეგ შენგელიას „ბასკონია“ მეხუთე, ხოლო ბურჯანაძისა და შერმადინის „ანდორა“ მერვე ადგილზე იმყოფებიან.

აქვე შეგახსენებთ, რომ გიორგი შერმადინი ლიგა ენდესას იანვრის თვის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. როგორც ჩანს, ქართველი თებერვალშიც არ აპირებს პოზიციების დათმობას.

ვიტალი ჯაფარიძე



◎ ინტერნეტიდან

„ბოლონიის“ შვეიცარიელი ნახევარმცველი ბლერიმ ჯემაილი ფრანჩესკო ველუზისთან ინტერვიუში ამბობს, რომ ცოლზე ეჭვიანობს. 30 წლის ფეხბურთელი აღნიშნავს, რომ მისი ცოლი უფრო პოპულარულია, ვიდრე თვითონ.

ალბანელი სუპერმოდელი ეროინა სულეიმანი ევრო 2016-ის ყველაზე ლამაზ ქალ ქომაგად დასახელდა. სწორედ ეროინა გახლავთ „ბოლონიის“ შუახაზელის მეუღლე.

ბლერიმ ჯემაილი:

ჩემი ცოლი უფრო ცნობილია, ვიდრე მე

ინტერვიუში ჯემაილი აღნიშნავს, რომ უკვე სამ წელიწადნახევარია ერთად არიან და მისდამი დიდი ნდობა აქვს, თუმცა, ეროინას ძალიან უყვარს სოციალური ქსელებიო.

ჯემაილი გარდა მეუღლისა თავის კარიერასაც შეეხო და 4 თებერვალს გამართულ „ბოლონია“-„ნაპოლის“ დაპირისპირებაზე ისაუბრა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელი 2012-2015 წლებში სწორედ „ნაპოლიში“ ირიცხებოდა და ყველა ჩემპიონატში 109 მატჩში 19 გოლი გაიტანა. რაც შეეხება „ბოლონიას“, 21 თამაშში 6 გოლი დაუგროვდა.

როსტომ რაჭველიშვილი

გახლეჩილობის მძიმე ჟამი

რა შანსი აქვს უგულავა-ბაქრაძე-ბოკერიას პარტიას?

(მეცხრე გვერდიდან)

საკმაოდ ჭკვიანური პოზიციაა, რაც უგულავას საშუალებას მისცემს, კიდევ ერთხელ გაემიჯნოს მიშას ეპოქას და დააგროვოს რესურსი მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის.

რეალურად, ახალი პარტიის ნამდვილი „სახელისუფლებო“ რესურსი სწორედ გიგი უგულავაა და არა დათო ბაქრაძე, მით უმეტეს გიგა ბოკერია, რადგან ისევ და ისევ, საარჩევნო კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია ქარიზმა, რასაც, მძიმე შეცდომით, ხშირად აიგივებენ რეიტინგთან. გიგისაგან განსხვავებით, არც დათოს და არც გიგას ქარიზმა არ გააჩნიათ.

* * *

ყველაზე პრობლემური საკითხი ამ დისკურსში მაინც ელექტორალური პოტენციალია.

თუ პირველი განცხადებებით ვიმსჯელებთ, „ევროპული საქართველოს“ ლიდერებს მიაჩნიათ, რომ ის 50%, რომელიც ბოლო არჩევნებზე არ მოვიდა, მათი პოტენციური ამომრჩეველია, ვინც „გაუმჯობესებულ მიშას“ ელოდება.

ესე იგი იმგვარ პროექტს, რომელიც იგულისხმებს ყველაფერ „კარგს“, „დადებითს“, „პროგრესულს“, „რეფორმისტულს“, რაც იყო „9 წელიწადში“ და უკუაგდებს უარყოფითს, რაც აგრეთვე ახასიათებდა იმ ეპოქას. ამიტომ, იმედი აქვთ, მიშას გარეშე, ისინი შეძლებენ სწორედ ამ ელექტორატის მოზიდვას.

სააკაშვილს კი მტკიცედ სჯერა, რომ ამაში მისი ყოფილი თანამებრძოლები კატასტროფულად ცდებიან და ეს 50%, ვინც არჩევნებზე ტრადიციულად არ დადის, სინამდვილეში, პრორუსული ამომრჩეველია, რომელიც არჩევნებში მხოლოდ იმიტომ არ მონაწილეობს, რომ ვერ ხედავს რეალურად „გამკეთებელ“ პრორუსულ ძალას, ვინც საქართველოს „ევრაზიულ კავშირში“ შეიყვანს.

ნინო ბურჯანაძის ან თვით მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის იმედი კი ამ მხრივ არა აქვთ, რაკი არც ერთი და არც მეორე, რეალურად, „არაფრის გამკეთებლად“ მიაჩნიათ.

რამდენად მართალია მიშა ამ შეფასებაში? ძალიან ძნელი სათქმელია. ამას მხოლოდ რეალური არჩევნები გვიჩვენებს. თუ სააკაშვილის შეხედულება სწორია, მაშინ „ენმ“ -ის გაყოფა მხოლოდ იმ ელექტორატის გახლეჩას გამოიწვევს, რომელმაც ბოლო არჩევნებზე დაუჭირა მხარი მაშინ ჯერ კიდევ ერთიან „ნაციონალურ მოძრაობას“.

როგორი პროპორციით გახლეჩს — კიდევ მესამე საკითხია. არ არის გამორიცხული, ეს „ხლეჩა“ იმგვარი აღმოჩნდეს, ერთ-ერთმა მათგანმა საარჩევნო ბარიერიც კი ვერ გადალახოს.

ნიკა იმნაიშვილი

შალვა მგალობლიშვილი ოჯახით იუწყება სტუდენტობის მეგობრის

ჯიმი მეფარიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებს.

გარდაიცვალა ომამდელი აფხაზეთის მრეწველობის მინისტრის, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დარეგულირებისათვის დაუღალავი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მოწამეობრივად აღსრულებული რაულ ეშბას მეუღლე

დალი ხვინგია-ეშბა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავენ, რომ ქალბატონმა დალიმ, როგორც ეს ჭეშმარიტ მეგობარს შეეფერება, სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა მეუღლის მაღალჰუმანურ იდეებს, ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის რწმენას და კაცთმოყვარეობას, ქვეყნის სიმტკიცისათვის დაუღალავი მებრძოლის შესანიშნავი მაგალითი დაუტოვა თავის შთამომავლობას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

როცა დაკვადება უკან იხევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი **ნანა მელია-პაიჭაძე** წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. **ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ძუსლის ტკივილს.**

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

„ბიზნეს დეველოპენტმა“ მწვანე კონცხზე მდებარე აბრარული უნივერსიტეტის ყოფილი შენობა შეიძინა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის დასახლებაში მდებარე 3239,62 კვ.მ შენობა-ნაგებობის და მასზე დამაგრებული 1742 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის დასახლებაში მდებარე 4912,07 კვ.მ შენობა-ნაგებობის და მასზე დამაგრებული 11 898 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შპს „ბიზნეს დეველოპმენტმა“ 4 600 000 ლარად პირობებიან ელექტრონულ აუქციონზე შეიძინა.

აუქციონის პირობების მიხედვით მყიდველმა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის ვადაში, ნასყიდობის საფასურის ნაწილის 3 000 000 ლარის სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ბიუჯეტში, ხოლო დარჩენილი საპრივატიზებო საფასურის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის ბიუჯეტში გადახდა უნდა უზრუნველყოს.

მყიდველმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის ვადაში, საკუთრებაში გადაცემულ ქონებაზე არანაკლებ 5 000 000 ლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს აჭარის მთავრობისგან ასევე ლეონიძისა და მეტაქსას ქუჩებზე არსებული ქონება საკუთრებაში გადაეცემა,რაც უნივერსიტეტის საქმიანობისთვის იქნება გამოყენებული.

თაღლითებმა დევნილების 95500 დოლარი მიითვისეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სამი პირი დააკავა.

ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით, დაკავებული არიან 1972 წელს დაბადებული მ. მ., 1980 წელს დაბადებული მ.ტ. და 1969 წელს დაბადებული ლ.კ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა წინასწარი შეთანხმებით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ კორპუსებში დევნილებისათვის განკუთვნილი ბინების მიღებაში დახმარების სანაცვლოდ, მოტყუებით გამოართვეს 95 500 აშშ დოლარი.

ზუგდიდში ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს

ზუგდიდში, რკინიგზის სადგურთან ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს. **გუშინ ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. გარდაცვლილი ქალის ცხედარი ექსპერტიზაზეა გადასვენებული.**

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. უწყების ინფორმაციით, პირველადი დათვალიერებით, ცხედარს სხეულზე ძალადობის კვალი არ აღენიშნება.

სანთელი

თამაზ ამბროლაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ჰიდროინჟინერიის დეპარტამენტს გამოაკლდა ღვაწლმოსილი პიროვნება — გარდაიცვალა ახალგაზრდა ჰიდროტექნიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელი, პროფესორი თამაზ ალექსანდრეს ძე ამბროლაძე.

იგი დააკლდა თავის საყვარელ ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს და სტუდენტებს. წავიდა ამქვეყნიდან კარგი პროფესიონალი და მაღალი ზნეობით გამორჩეული პიროვნება. მისი პროფესიული ბიოგრაფია საკმაოდ შთამბეჭდავია, მან გაიარა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ყველა საფეხური ლაბორანტობიდან — პროფესორობამდე.

თამაზ ამბროლაძე დაიბადა 1936 წლის 23 დეკემბერს ქ.უთაისში. 1955 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე, ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგიის სპეციალობით.

შრომითი საქმიანობა დაიწყო საპროექტო ინსტიტუტ „საქგიპროშახტში“ ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის თანამდებობაზე; 1962-65 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში, ჰიდრავლიკისა და საინჟინრო ჰიდროლოგიის სპეციალობით; 1965-66 წწ. იყო ჰიდრავლიკისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების კათედრის უფროსი ლაბორანტი; 1966-68 წწ. — ამავე კათედრის ასისტენტი; 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „Исследование некоторых закономерностей движения воды и наносов на поворотах русел.“ 1968-2006წწ. იყო ჰიდრავლიკის კათედრის დოცენტი.

1973-76 წწ.გახლდათ ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ხოლო 1976 წლიდან 1985 წლამდე — ფაკულტეტის დეკანი.

თამაზ ამბროლაძე 2006 წლიდან დღემდე იყო ჰიდროინჟინერიის დეპარტამენტის, ჰიდრავლიკისა და საინჟინრო ეკოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. იგი არის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 2 სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის ავტორი.

გარდა ლექციებისა, აქტიურად ერთვებოდა სხვადასხვა საქმიანობაში: იყო საერთაშორისო კონგრესის სარედაქციო კოლეგიის წევრი (2009 წ); ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი (1968-73 წწ).

წავიდა ჩვენგან თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
სამშენებლო ფაკულტეტი

◎ ყველაფერი ყველაფერზე

ყველაზე ხანგრძლივი ფრენა

მსოფლიოს უკვე ახალი ყველაზე გრძელი საჰაერო გზა აქვს. „ყატარის ავიახაზების“ თვითმფრინავი დოჰადან (ყატარი) ოკლენდში (ახალი ზელანდია) ჩაფრინდა. დღესდღეობით ეს მარშრუტი, უწყვეტი ფრენით პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

„ბოინგი 777-200“ 16 საათი და 20 წუთი მიფრინავდა ოკლენდის მიმართულებით, ხოლო უკანა გზა 17 საათზე ცოტა დიდხანს გაგრძელდა. ავიალაინერმა 29060 კილომეტრი იფრინა.

მგზავრებმა გზაში 1100 ფინჯანი ყავა და ჩაი მიირთვეს. მათთვის აგრეთვე 1036 ულუფა საგზალი გამზადდა.

2018 წელს „Singapore Airlines“ ახალი რეკორდის დამყარებას გეგმავს სინგაპური ნიუ-იორკის მიმართულებით.

სად ვიცხოვროთ პენსიაში გასვლის შემდეგ?

ერთ-ერთმა ინტერნეტ პორტალმა „Living“ (ცხოვრება), რომელიც სხვადასხვა კვლევებს აქვეყნებს, იმ ქვეყნების ჩამონათვალი დაასახელა, სადაც პენსიაში გასვლის შემდეგ ცხოვრება უკეთესია. გათვალისწინებული იყო ჯანდაცვის სისტემა, კლიმატი, ფასდაკლებები პენსიონერთათვის და ყოველდღიური ხარჯები.

პირველ ადგილზე მექსიკა გავიდა, სადაც შესაძლებელია თვეში 1200 დოლარად იცხოვრო. პენსიონერთათვის უამრავი ფასდაკლებებია გათვალისწინებული, მათ შორის ავიაბილეთებზეც.

მეორე ადგილზეა პანამა, სადაც ერთ-ერთი საუკეთესო საპენსიო პროგრამა არსებობს მთელს მსოფლიოში.

მესამე ადგილზეა ეკვადორი – იგი ცნობილია ყველასათვის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემით.

ამათ გარდა, კიდევ ოცამდე ქვეყანა დასახელდა, სადაც ხანდაზმულთათვის ცხოვრების უკეთესი პირობებია. მათ შორისაა: კოსტა-რიკა, ესპანეთი, კოლუმბია, მალაიზია, პორტუგალია, ნიკარაგუა, მალტა, იტალია, პერუ, ბოლივია, ირლანდია და სხვ.

ექვსი შვილის დასაპურებლად, მომე 100 000 დოლარი!

ჰოლივუდის ლამაზმანი ანჯელინა ჯოლი განქორწინების შემდეგ პიტს 100 000 დოლარის ალიმენტის გადახდას ყოველთვიურად სთხოვს. სწორედ ამდენი სჭირდება ვარსკვლავს ექვსი შვილის „დასაპურებლად“, რომლებიც დაშორების შემდეგ დედასთან დარჩნენ.

პიტი თანახმაა თანხა, რომელიც ძირითადად ბავშვების განათლებას სჭირდება, მათ ანგარიშზე ჩარიცხოს და არა ჯოლის!

ბრედს სურდა, რომ მეურვეობა ორივე მშობელს თანაბრად დაკისრებოდათ, მაგრამ ლამაზმანი მხოლოდ ერთპიროვნულ მზრუნველობაზე იყო თანახმა.

53 წლის პიტის ქონება 240 მილიონს შეადგენს, ხოლო ჯოლის – სულ რაღაც 160 მილიონს.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

◎ ვერნისაჟი

როკო ირემაშვილის „სასიცოცხლო საფრთხეები“



საქართველოს ეროვნულ მუზეუმში თბილისის ისტორიის მუზეუმი ხელოვნების მოყვარულებს სთავაზობს თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი ცნობილი მხატვრის როკო ირემაშვილის პროექტს სახელწოდებით „სასიცოცხლო საფრთხეები“.

მულტიმედიური პროექტი „სასიცოცხლო საფრთხეები“ მოიცავს როგორც შინაარსობრივ, ასევე საშემსრულებლო სიღრმეს. პროექტი ასახავს საფრთხეებს, რომლებიც ადამიანს დაბადებამდე და სიცოცხლეშიც უქმნის რისკებს. ეს პროცესი გრძელდება მისი ზრდის, განვითარების, ჩამოყალიბებისა და ხანდაზმულობის დროს.

საფრთხეები ინდივიდს აღზრდის მეთოდებით და ყალბი ფასეულობების მის შემეცნებაში დანერგვით, ხან გარემო შეზღუდვებითა და ზოგად სტერეოტიპებში მოქცევის მცდელობებით ავიწროებს, რაც რიგ შემთხვევებში იმის არსებობისთვის საშიში ხდება, თითოეული არჩევანი რადიკალურად წყვეტს ადამიანის არსებობას, განვითარებას და უამრავ სხვა ალბათობას შორის, ადამიანი სწორედ ერთ საკუთარ ბეწვის ხიდს მიჰყვება. სწორედ ესაა ასახული მხატვრის შემოქმედებაში.

როკო ირემაშვილი იყო აპოლონ ქუთათელაძის სამხატვრო აკადემიის პედაგოგი. ის მრავალი პროექტის ავტორია თანამედროვე ხელოვნებაში. გამოირჩევა თავისუფალი, თამამი ექსპერიმენტებით. მხატვარი აქტიურად მონაწილეობს ჯგუფურ გამოფენებში და საერთაშორისო პროექტებში, წარმოადგენს ახალ კონცეფციას ბიენალეზე, მართავს ინდივიდუალურ გამოფენებსაც. მისი ნამუშევრები ინახება კერძო კოლექციებში. მისი ნამუშევრები ფილოსოფიური ხედვით, პროექტების კონცეპტუალურად ღრმა გააზრებით გამოირჩევა. გამოფენა 14 თებერვლამდე გასტანს.

ელგუჯა ნადარეიშვილი,
ავტორის ფოტო.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

რობოტი ადამიანად „ალიარეს“



ბელგიაში ცოლ-ქმარმა რობოტი „იშვილა“. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც რობოტი მოსახლეობის რიცხოვნობაში ჩაიწერა.

რობოტმა-ჰუმანოიდმა სახელით ფრენ პეპპერი პირადობის დამადასტურებელი მოწმობაც კი მიიღო. მას ამიერიდან შეუძლია იაროს სკოლაში და მისი დასრულების შემდეგ კი უნივერსიტეტში ჩააბაროს.

იაპონიაში თოვლის ფესტივალი გაიმართა

იაპონიაში თოვლის ტრადიციული ფესტივალი ჩატარდა. ქალაქ საპოროში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 200-მდე სკულპტორმა ულამაზესი თოვლის ქანდაკებები შექმნა. ვიზიტორთა ყველაზე დიდი მოწონება წილად პარიზის ტრიუმფალურ თაღს ხვდა. არანაკლებ დიდი ინტერესი გამოიწვია დონალდ ტრამპის თოვლის ბიუსტმაც.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6816; ევრო - 2.8806;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3493;
100 რუბლი - 4.5118; თურქული ლირა - 0.7160;
აზერბაიჯანული მანათი - 1.3979;
1000 სომხური დრამი - 5.5211.

ამინდი 7 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -4,	დღე +15
მთიანი რაიონები -	ღამე -6,	დღე +9
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +2,	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე -4,	დღე +10
თბილისი:	ღამე +1,	დღე +15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE